სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნათია მეგრელიშვილი

მცირე და საშუალო ბიზნესის გამოწვევები და ტენდენციები საქართველოში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ლია ბიბილაშვილი

ასოც. პროფესორი

გორი

2020

ა ნ ო ტ ა ც ი ა

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკის ზრდისა და განვითარებისთვის. მის წილად მოდის საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობის 50-70%, ამიტომ მცირე და საშუალო ბიზნესის სწორი პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ძირითადი პირობაა. სამაგისტრო ნაშრომის თემის აქტუალობა განპირობებულია მისი შესწავლის აუცილებლობით. **მიზანს წარმოადგენს** - საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის მიმოხილვა, მისი ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზის საფუძველზე რეზერვების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება . ჩვენი **კვლევის ამოცანაა** - მცირე და საშუალო ბიზნესის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის შეფასება, მისი მდგომარეობის დეტალური ანალიზი საქართველოში, ასევე განვიხილოთ, თუ რა ღონისძიებები და პროგრამები ხორციელდება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. აქედან გამომდინარე, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი **აქტუალურად მიგვაჩნია. კვლევის ობიექტია** - მცირე და სასუალო ბიზნესი საქართველოში. **კვლევის საგანს** წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის როლის ზრდის, მისი აუცილებლობის და პერსპექტივების წარმოჩენა და მათი თეორიული და პრაქტიკული ანალიზი. ნაშრომს გააჩნია, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენ მიერ ჩატარებული **კვლევის სიახლე** გახლავთ ის, რომ მრავალმხრივი ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობა და ნაჩვენებია ამ სექტორის განვითარების ობიექტური აუცილებლობა საქართველოში.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა საინტერესო იქნება, არა მხოლოდ მეცნიერ-ეკონომისტებისთვის, არამედ ფართო საზოგადოებისთვის, რომელშიც ჩვენი კვლევით, მცირეოდენი წვლილი შეგვაქვს ამ საქმეში.

Annotation

Natia Megrelishvili

Small and medium-sized businesses challenges and trends Georgia

Necessity of development of small and medium-sized businesses is important for increase and development of country economy. 50-70% of total volume of goods and service is coming on its share, that's why correct politics of small and medium-sized businesses is the basic condition for successful functioning of market economy. Actuality of the topic of Master's work is conditioned by necessity of its study. **The goal represents** – to review condition of small and medium-sized businesses in Georgia, to reveal the reserves and develop the recommendations on the base of analysis of its strong and weak sides. **The task of our research is** – to estimate small and medium-sized businesses as economic category, detailed analysis of its condition in Georgia, also to discuss if what events and programs are implemented for the purpose of supporting small and medium-sized businesses. Hence we **consider as actual** our Master's work. **The object of research is** - small and medium-sized businesses in Georgia. **The subject of research** represents the presentation of the growth of role of small and medium-sized businesses, its necessity and perspectives and their theoretical and practical analysis. The work has as theoretical as practical importance. **The novelty of the research** conducted by us is that on the base of multilateral analysis there is defined the existed condition of the development of small and medium-sized businesses and is shown objective necessity of development of this sector in Georgia. The materials found by us will be interesting not only for academic economists but also for general public, in which by our research we do our slightly bit in this case.

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი

1.1. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და განვითარების ისტორია 7

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია 11

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

2.1. ბიზნეს გარემოს მიმოკილვა საქართველოში 26

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქართულ ეკონომიკაში 30

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები, პრესპექტივები და განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

3.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში
..... 34

3.2. მცირე და საშუალო ბიზნესისი განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა
..... 42

3.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში 53

დასკვნა 67

გამოყენებული ლიტერატურა 69

დანართები 71

შესავალი

საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს. როგორც წესი, იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს თითქმის ყველა სახელმწიფოს მთლიანი შიდა პროდუქტის ფორმებში, სამუშაო ადგილების შექმნაში, ახალი ტექნოლოგიებისა და ნოვაციების დანერგვაში, მსხვილი კომპანიების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

განვითარებულ ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის პროგრესირება მიმდინარეობს მაღალი ტემპით, რადგან მთავრობები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და საჭირო დახმარებას უწვენ ასეთ საწარმოებს.

საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმაოდგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების აუცილებლობა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკისთვის. წლების განმავლობაში ხდება და გრძელდება ამ პრობლემასთან ბრძოლა. ესაა თემა, რომელიც დაკავშირებულია არა მხოლოდ წარსულთან, არამედ მომავალთან.

აღნიშნულ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის მიზანს წარმაოდგენს გავაანალიზოთ ის პრობლემები და წინსვლები, რომლებსაც მიაღწია მცირე და საშუალო ბიზნესისი განვითარებამ საქართველოში, ასევე მისი მდგომარეობის შესწავლა და პრობლემების იდენტიფიკაცია.

განვიხილავთ იმ ისტორიულ მოვლენებსა და ფაქტებს, რომლებიც ძირითადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში პოულობს გამოხატულებას და აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე.

ღია ეკონომიკის პირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესს შეუძლია იქცეს მსხვილი კორპორაციების დივერსიფიკაციის და სამომხმარებლო ბაზრის მოდერნიზაციის

ინსტრუმენტად. მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება საქართველოში, საშუალებას მოგვცემს გადაწყდეს ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა კონკურენციის ზრდა, მოსახლეობის დასაქმება, ეკონომიკაში წვლილის შეტანა და ა.შ. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პრიორიტეტული ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანაა.

როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე.

აღნიშნულიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და განვითარების ისტორიის მიმოხილვა;
2. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობის დეტალური ანალიზი საქართველოში;
3. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების პერსპექტივები;
4. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში;

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა საბაზრო ურთიერთობების პირობებში, საქართველოში, ენიჭება მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შესწავლას და ეფექტიანობის ამაღლების შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას.

წარმოდგენილი კვლევის შედეგები და რეკომენდაციები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანის გადასაწყვეტად, რაც ზოგადად მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას გულისხმობს.

თავი 1. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი

1.1. მცირე და საშუალო ბიზნესის არსი და განვითარების ისტორია

სამეცნიერო და სხვა წყაროებში ,,ბიზნესი“ ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და (Business) ნიშნავს საქმიანობას, როგორც პირადი გამდიდრების წყაროს, აქედან -,, ბიზნესმენი“ (businessmen) - პირი რომელიც ბიზნესს მისდევს. ,,ბიზნესის“ სამშობლოდ აღიარებულია ამერიკის შეერთებული შტატები. დღესითვის ამ ტერმინმა მთელი მსოფლიო მოიცვა, უამრავ მონათესავე ტერმინთა მნიშვნელობა შეითავსა; ის არის პროფესია, საქმე, მეწარმეობა, გარიგება, საქმიანი წრეები, საქმიანი ცხოვრება, უბრალოდ შემოსავლის წყარო და ა.შ

დღეისათვის ეკონომიკურ ლიტერატურაში ბიზნესის უამრავი განმარტება არსებობს. მკვლევართა უმრავლესობა ბიზნესს მოგების მიღების წყაროდ მიიჩნევს. ზოგიერთი ავტორი არამომგებიანი ბიზნესის არსებობასაც უშვებს. მაგალითად დ. ნიდლი ბიზნესს განიხილავს, როგორც ფართო ცნებას, რომელიც მოიცავს როგორც მომგებიან (როგორიცაა ფირმები და ბანკები), ასევე არამომგებიან საწარმოებს (მაგალითად, სკოლები და საავადმყოფოები)... მცდარი შეხედულებაა, რომ ბიზნესი მხოლოდდამხოლოს მოგებაზეა ორიენტირებული, ბიზნესის სისტემები და მეთოდიკა მოქმედებს ყველა ტიპის ორგანიზაციაში.

როგორც ქართულ ისე საზღვარგარეთის ლიტერატურაში ცნობილია ბიზნესის სხვადასხვაგვარი განმარტება:

> ბიზნესი (საქმე, საქმიანობა) - ეს არის გარემო სადაც მეწარმეები მოღვაწეობენ. ბიზნესი თვითონ არ არის ორგანიზატორი, არ არის მმართველი, არ იღებს გადაწყვეტილებებს. ბიზნესს მართავენ მეწარმეები, და პირველ რიგში ეს არის მეწარმეების მოღვაწეობის ძირითადი ობიექტი. ესაა რთული და საინტერესო საქმიანობა. მისი წარმატებული დაუფლება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

> ბიზნესი - სხვა არაფერია, თუ არა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ბანკის, იურიდიული კონსულტაციის, სამეცნიერო-

კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულება, საგამომცემლო, სასწავლო-სააღმზრდელო და სხვა საწარმოსა თუ დაწესებულების შექმნა.

> ,,ბიზნესი არის ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფის ან სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ინდივიდუალური ან ჯგუფური სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, რომელიც ეფუძნება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, საკუთრებისა და მეურნეობის ფორმირების მრავალგვარობას, ხორციელდება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, უზრუნველყოფს მრავალფეროვან პროდუქციაზე საზოგადოებრივ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ცალკეული ინდივიდის, ინდივიდთა ჯგუფის ან სახელმწიფოსთვის მოგების მიღების წყაროს წარმოადგენს“.[1]

> ,,ბიზნესი არის დამოუკიდებელი, საკუთრების რისკით განხორციელებული საქმიანობა, რომელიც მიმართულია მოგების სისტემურ მიღებაზე ქონების გამოყენების, საქონლის გაყიდვის, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის გზით იმ პირების მიერ, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან დადგენილი წეის თანახმად“.[2]

ს. ყარამაულის განმარტებით, “ბიზნესი (ინგლ - business) - საქმე, საქმიანობა, არის საკუთარი ან ნასესხები საშუალებების ხარჯზე განხორციელებული ინიციატივიანი, დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობა, დაწყებული რისკისა და ქონებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე, რომლის მთავარი მიზანია მოგების მიღება, საკუთარი საქმიანობის განვითარება, აგრეთვე საქონლის გასაღება, სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა. მეწარმეობის ძირითადი ნიშანთვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ეკონომიკური საქმიანობის სხვა ფორმებისგან არის:

1. დამოუკიდებლობა, პასუხისმგებლობა, ინიციატივა, რისკი, დინამიკურობა;
2. საწარმოები, ფირმები ან საწარმოთა ერთობლიობა, რომელთა განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელების შედეგად ღებულობენ მოგებას.

[1] (შურღაია ომარი, “მცირე ბიზნესის საფუძვლები”, გამომცემლობა უნივერსალი, თბილისი 2010წ.)

[2] (მესხია იაკობ, “ბიზნესის საფუძვლები”, 2011წ. თბილისი)

ჩვეულებრივ ისინი განცალკევებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებია, რომლებიც ადმინისტრაციულად არ არის დამოკიდებული სახელმწიფო სხვა უწყებაზე და ორიენტირებულია ბაზარზე".

მომავალ ბიზნესმენს უნდა შეეძლოს საგულდაგულოდ მოამზადოს თავისი საქმე, გამართოს წარმოება და რეალიზაცია გაუკეთოს პროდუქტს (მომსახურებას). მას უნდა შეეძლოს შეაფასოს კონკრეტული საბაზრო სიტუაცია და გააკეთოს სწორი არჩევანი. ნებისმიერი ბიზნესმენი, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეყრდნობოდეს თავის თავს, შეეძლოს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება, იყოს შემოქმედი, მოაზროვნე და არა მხოლოდ მცოდნე და უნარიანი.

ბიზნესს გააჩნია მისი სტრატეგია და ტაქტიკა. ბიზნესისი სტრატეგია მდგომარეობს მაქსიმიზაციაში, მისი ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვის გზით. ამ სტრატეგიის ყველა კონკრეტული კონტრაგენტის მიმართ, ტაქტიკური მიზანი არის კონკრეტულ დროში, კონკრეტული ურთიერთობის ფორმითი რეალიზაცია.

ბიზნესისი შესახებ მსჯელობისას და მასში მონაწილეების ხშირად აღიქვამენ ბიზნესს, როგორც სავაჭრო საშუამავლო საქმიანობას, როგორც საქონლის ყიდვა გაყიდვას. ესაა შეზღუდული, არასრული წარმოდგენა ბიზნესის შესახებ. ბიზნესი ეკონომიკური საქმიანობის უაღრესად მრავალწახნაგოვანი სახეობაა, რომელიც ვრცელდება ეკონომიკის ყვეა სფეროზე და არამარტო ვაჭრობაზე, საქონლის გაცვლაზე.

მაგრამ ეს არ ნისნავს იმას, რომ ბიზნესი არ უნდა დაიყოს ეკონომიკის განსაზღვრული სფეროების მიხედვით ცალკეულ სახეებად. ბიზნესი სხვადასხვა სფეროში არსებითად განსხვავებულია ფორმის, ოპერაციათა შინაარსისა და მათი განხორციელების მიხედვით. ბიზნესის ხასიათზე დიდი გავლენას ახდენს საქონლისა და მომსხურების სახეობა და უფრო მეტად - საქონლისა და მომსახურების მოპოვების წესი.

ბიზნესის განხორციელებისთვის აუცილებელია შესბამისი პირობები, რომლებიც ყალიბდება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, იურიდიული წანამძღვრების ერთობლიობისგან. საქართველოში ასეთი წანამძღვრებებია: საზოგადოებრივ-

პოლიტიკური წყობილების შეცვლა, ეკონომიკური იდეოლოგიის ცვლილებები და საბაზრო (შერეულ) ეკონომიკაზე გადასვლა, რიგ შესაბამისი კანონების მიღება.

განვითარებული საბაზრო (შერეული) ეკონომიკის ქვეყნებში უაღრესად დიდია ბიზნესის როლი და მნიშვნელობა. დღეს ჯანსაღი ბიზნესის განვითარების პირობები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეს. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებამ ბიზნესი, მეწარმეობა, კომერციული საქმიანობა გახადა საქართველოს ეკონომიკის ბუნებრივი შემადგენელი ნაწილი. ბიზნესის საშუალებით შეიძლება მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რამდენად ინერგება და დაინერგა ქვეყნის ეკონომიკაში საბაზრო მექანიზმი და მეურნეობის მეთოდი.

საქართველოში უკვე ბევრი მოქალაქისთვის ბიზნესი გახდა სამუშაოს ძირითადი სახეობა ან მეორადო დასაქმების ფორმა. ბიზნესი განსაკუთრებით იზიდავს ახალგაზრდა თაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ ბიზნეს ჯერ კიდევ არ შეუძენია თანამედროვე ცივილიზებული ფორმა და შინაარსი, ბევრი რამ დასახვეწია. ამიტომ ბიზნესის სფეროსათვის კადრების (ეკონომისტების, იურისტების, მარკეტერების, მენეჯერების და სხვა სპეციალისტების) მომზადება ფრიად აქტუალურია, რომლებსაც მოუწევთ მუშაობა სხვადასხვა პროფილისა და ხასიათის საწარმოებში, კომპანიასა და კორპორაციებში. საზღვარგარეთ მათი განზოგადებული სახელწოდებაა ფირმა. სპეციალისტები მუშაობენ საკუთარ ან სხვის მიერ დაფუძნებულ ფირმებში.

ქვეყანაში არსებული ბიზნესგარემო განაპირობებს ეკონომიკის ზრდასა და კერძო სექტორის განვითარების ტემპებს. საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ძირითადად ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებსა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამ შეფასების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეების მოსაზრებები და კონკრეტული პრობლემები. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნესგარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ქართული ბიზნესმენები ფლობენ. ეკონომიკურად აქტიური ეს ადამიანები ყველაზე კარგად იცნობენ და აფასებენ არსებულ ბიზნესგარემოს.

1.2. მცირე და საშუალო ბიზნესი, როგორც ეკონომიკური კატეგორია

მეცნიერულად დასაბუთებულია და პრაქტიკულად დადასტურებული, რომ ადამიანთა საზოგადოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს პირადი ინტერესებსი, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის დაუოკებული სწრაფვა. იკმაყოფილებს რა ადამიანი, თავის პირად ინტერესებს, ამით იგი სულაც არ უგულებელყოფს საზოგადოების ინტერესებს. პირიქით, ყოველი ინდივიდის ინტერესებსი დაკმაყოფილება აუცილებლად ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესებსაც (ა. სმითი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ყოველი ადამიანის ბუნებრივი თვისებაა იშრომოს და იცხოვროს თავისი და საზოგადოების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, უკეთესი მომავლის უზრუნველყოფისთვის.

ამ თვისების განსახორციელებლად კი საჭიროა, რომ მან აწარმოოს (შექმნას) საჭმელი, სასმელი, ჩასაცმელი, საცხოვრებელი და სხვა მატერიალური დოვლათი. ასევე, მას სურს დააკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილებები: მოუსმინოს მუსიკას, წავიდეს კინოში, თეატრში, იაროს ეკლესიაში, დაესწროს კრებებს, მიტინგებს, ურთიერთობა ჰქონდეს მეგობრებთან და სხვა.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანებს თავიანთი სიცოცხლისთვის, მისი შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის ესაჭიროება მატერიალური დოვლათი და სიკეთე.

საკუთარი ბიზნესი მყარი გარანტიაა იმისა, რომ მისი მფლობელისთვის, მისი შთამომავლობისთვის და ბოლოს, მთელი საზოგადოების არსებობისთვის, შექმნას ღირსეული ცხოვრების პირობები.

ბიზნესი წარმოადგენს ერთ-ერთ ფაქტორს რამაც დააჩქარა და განაპირობა გლობალიზაციის დაჩქარების პროცესი. საბაზრო ურიერთობებზე გადასვლისთანავე მცირე და დიდი საწარმოები გამოჩნდნენ. ამ თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოჩნდა ტერმინები ,,მეწარმე“, ,,მცირე ბიზნესი“, ,,მცირე და საშუალო საწარმოები“, ,,მეწარმეობა“, და სხვა.

ბიზნესის სამი ფორმა შეიძლება გამოვყოთ ესაა: მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი.

- **მსხვილი ბიზნესი** ძირითადად განსაზღვრავს ქვეყნის ეკონომიკურ და ინდუსტრიულ სიძლიერეს, რომელიც უმეტესად ორიენტირებულია მასობრივ, შედარებით ერთგვაროვან მოთხოვნაზე, დიდი პარტიების სტანდარტული პროდუქციის გამოშვებაზე, რაც ხელს უწყობს საზოგადოებრივი ეფექტიანობის ამაღლებას.
- **საშუალო ბიზნესის** სახით შეიძლება წარმოდგენილი იყოს მანქანათმშენებლობა და მსუბუქი მრეწველობის დარგის საწარმოები. ისინი უშვებენ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის 25.0% -მდე სადაც დასაქმებულია 20.0მლნ-ზე მეტი ადამიანი. როგორც წესი, საშუალო ბიზნესის საწარმოები მიეკუთვნება კერძო სექტორს და ქმნის კოლექტიურ საკუთრების სხვადასხვა ფორმას.
- **მცირე ბიზნესით** დაკავებულია წვრილი მეწარმეთა ყველაზე მრავალრიცხოვანი ფენა. მცირე ბიზნესში დასაქმებული ადამიანები მიეკუთვნებიან მოსახლეობის უმეტესობას და ერთდროულად წარმოადგენენ საქონლისა და მომსახურების - როგორც უშუალო მწარმოებლების, ისე მომხმარებლების ფართო სპექტრს. ბიზნეს ეს სექტორი ქმნის საწარმოთა ყველაზე განშტოებულ ქსელს, რომელიც მოქმედებს ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე და უშუალოდაა დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების მასობრივ მომხმარებელთან.

ბიზნესის სახეობათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მცირე ბიზნესს, რომელიც შორეულ წარსულში იღებს სათავეს.

მცირე ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა.

მცირე ბიზნესი, როგორც ტერმინი, წარმოდგება არა იქიდან, რომ მცირე ბიზნესი, ერთობლიობაში, პროდუქციის მცირე რაოდენობას ქმნის, არამედ იქიდან, რომ მის ორგანიზაციულ ფორმას წარმოადგენს მცირე საწარმოები. წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესში იწარმოება ამ ქვეყნების მშპ-ს ნახევარზე მეტი და მოდის დასაქმებულთა საერთო რაოდენობა 60%-ზე მეტი.

სწორედ მცირე ბიზნესში იქმნება და ცირკულირებს ეროვნული რესურსების ძირითადი მასა, რომლებიც წარმოადგენენ საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის მკვებავ სფეროს.

მცირე და საშუალო ბიზნესს, პირველყოვლისა, მიეკუთვნება საწარმოები, რომლებიც პასუხობენ ქვემოთ ჩამოთვლილ მახასიათებლებიდან ორს მაინც:

1. დამოუკიდებელი მართვა;
2. საკუთარი კაპიტალი;
3. მოქმედების ლოკალური რაიონი;
4. წარმოების შედარებით მცირე სიდიდე;
5. თანამშრომელთა მცირე რაოდენობა;
6. საბრუნავი კაპიტალის შედარებით მცირე მოცულობა.

მცირე და საშუალო ბიზნესის საბაზრო ეკონომიკური სისტემის არსებით და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და თავისი უპირატესობის გამო, მრავალი სახელმწიფოს ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს. მასზე მოდის კერძო სექტორის ნაწარმის თითქმის ნახევარი. მცირე ბიზნესის როლს ეკონომიკაში შემდეგი გარემოებები განაპირობებს:

1. ქმნის სამუშაო ადგილს;
2. ქმნის ახალ ნაწარმს;
3. აკმაყოფილებს უფრო დიდი ორგანიზაციების მოთხოვნილებებს;
4. ფულის მნიშვნელოვანი მასა შეაქვს ეკონომიკაში;
5. ისეთ რისკზე მიდის, რისგანაც უფრო დიდი საწარმოები თავს იკავებენ;
6. საქონლისა და მომსახურების განსაკუთრებულ სახეობებს გვთავაზობს.

მცირე და საშუალო ბიზნესი თანამედროვე ეონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. იგი წარმოადგენს ეკონომიკის თანამედროვე ნეოლიბერალური მოდელის საფუძველს და საბაზრო ეკონომიკის პირობებში უზრუნველყოფს ძირითადად კონკურენციულ უპირატესობას, საბაზრო მექანიზმს ანიჭებს აუცილებელ მოქნილობას და ქმნის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წინამძღვრებს, ერთის მხრივ, ახდენს შესაბამისი კონკურენციული გარემოს ფორმირებას, ხოლო, მეორეს მხრივ - ახალი იდეების გენერირებას.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსხვილი კორპორაციული, მონოპოლიური კომპანიების საფუძველს.

უმსხვილესი თანამედროვე კორპორაციები MacDonald's, Microsoft და სხვები, სწორედ რომ, მცირე ზომის საწარმოებიდან არიან დაბადებული.

ამერიკაში გავრცელებული გამონათქვამი, რომლის მიხედვითაც "ამერიკული ეკონომიკის ხერხემალს დიდი კორპორაციები წარმაოდგენენ, მის კუნთებს კი, მცირე ფირმები ქმნიან''. ნიშანდობლივია, რომ უკანასკნელ წლებში აშშ-ში მცირე ბიზნესს ამერიკული ეკონომიკის ტვინსაც კი ადარებენ. ეს იმიტომ, რომ მრავალი ახალი მეცნიერებატევადი საწარმო, რომელშიც ქვეყნის სამეცნიერო და ტექნიკური პოტენციალის დიდი ნაწილია ჩართული, მცირე კერძო ორგანიზაციების სახით არის წარმოდეგენილი.

მცირე ბიზნესი ძალზე მოქნილი და ადაპტურია გარემო-ფაქტორების ცვლილებების მიმართ. მსხვილ საწარმოებთან შედარებით ძალზე მობილურია და შეუძლია ფეხი აუწყოს ბაზრის მოთხოვნებს. მცირე ბიზნესი ნაკლებ კაპიტალს მოითხოვს წარმოების განვითარებისთვის და ასევე იგი სასუალებას იძლევა დასაქმდეს მუშახელი, ანუ მას გააჩნია მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი.

მცირე ბიზნესი წარმოადგენს მსოფლიოს ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს. ცნება „მცირე“ ბიზნესთან მიმართებით პირობითია. გაეროს კლასიფიკაციით, საწარმო, ფირმა, რომელშიც დასაქმებულია 500-ზე ნაკლები მუშაკი, შეიძლება მივაკუთვნოთ მცირე ბიზნესის კატეგორიას, ხოლო საცალო ვაჭრობის ობიექტი, სადაც დასაქმებულია 500 მუშაკი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მსხვილი საწარმო. ამდენად, მცირე საწარმო არის ფირმა, რომელსაც ფლობს დამოუკიდებელი მეწარმე, არ წარმოადგენს დარგის დომინანტს და ამ დარგში არსებული ფირმებსა თუ საწარმოებზე უფრო მცირეა. პრაქტიკული თვალსაზრისით, ნებისმიერი კომპანია, რომელშიც დასაქმებულია 500 კაცზე ნაკლები არის მცირე.

მცირე ბიზნეს თავისი ისტორიული წარსული და განვითარების ტენდენციები აქვს. მცირე ბიზნესი ჩაისახა და განვითარდა აშშ-ი (ტერმინი "მცირე ბიზნესი'' პირველად 1953 წელს მიღებულ კანონში "მცირე ბიზნესის შესახებ'' იხმარება), რაც ევროპიდან ემიგრაციის დიდ ტალღასთან იყო დაკავშირებული. ემიგრანტებს აუთვისებელ მიწებზე

სჭირდებოდათ მომსახურება. ასე გაჩნდა პირველი ოჯახური თონეები, სამრეცხაოები, რესტორნები და სხვა. დღეს მცირე საწარმოები მსოფლიოს ეკონომიკის საყრდენს წარმოადგენს. ამასთან, შეიცვალა ამ სფეროში პროპორციებიც. თუ 1800 წელს მოსახლეობის 80% დასაქმებული იყო მცირე ბიზნესის სფეროში, დღეისთვის ეს ციფრი შეადგენს მხოლოდ 20%, რაც კაპიტალის კონცენტრაციით და მომსახურების სფეროში დასაქმებულთა, რაოდენობის ზრდით არის განპირობებული. კაპიტალის კონცენტრაციას ახლავს ეკონომია, რომელიც გამოწვეულია საქმიანობის მასშტაბით ე.წ. ,,მასშტაბის ეფექტი" და ეს ცხადია, რადგანაც მსხვილ მწარმოებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, აწარმოონ საქონელი უფრო ნაკლები დანახარჯებით, რაც აისახებოდა კონკურენციულ ფასებში და როგორც შედეგი, მცირე საწარმოები ვერ უძლებდნენ ასეთ კონკურენციულ პირობებს. კაპიტალის კონკურენციის შედეგად მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა, ცალკეული მსხვილი მეწარმეები მთლიანად დარგებ დაეპატონენ.

გასული საუკუნის მანძილზე მცირე და საშუალო მეწარმეობის როლი ეკონომიკური სისტემის ფუნქციუნირებაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1959-1960-იანი წლების მიჯნამდე იგი ითვლებოდა სუსტად განვითარებულ, უპერსპექტივო სექტორად და ძირითადად აქცენტი კეთდებოდა მსხვილ კორპორაციებზე, რომლებიც წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია-ცენტრალიზაციის კანონზომიერი შედეგი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განსაკუთრებით დასახლებული პერიოდიდან მოყოლებული, ინდუსტრიულად განვითარებულმა ქვეყნებმა ორიენტაცია აიღეს მოსახლეობის სრული დასაქმებისა და ინდივიდთა მოთხოვნილებების უფრო მაღალ დონეზე დაკმაყოფილებაზე. ამ სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობად გადაიქცა მცირე და საშუალო ბიზნესის დაჩქარებული განვითარება, რაც გულისხმობდა აღნიშნულ პროცესში სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას. შესაბამისად, მცირე და საშუალო მეწარმეობა (ბიზნესი) განვითარებული ქვეყნების ეროვნული მეურნეობის განუყოფელ და ყველაზე დინამიურ ნაწილად გადაიქცა. მისი განსაკუტრებულობა გამოიხატება იმ ფუნქციებსი, რომელსაც ეს სფერო ასრულებს ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, საზოგადოებრივ ცხოვრებასი. სწორედ ამ ფუნქციებში რეალიზდება მცირე და საშუალო ბიზნესის როლი თანამედროვე საზოგადოებაში.

უკანასკნელ 10-15 წელიწადში კაპიტალის კონცენტრაციის ტენდენცია მსოფლიოში შემცირდა. ეს მოტივირებულია მომსახურების სფეროს განვითარების სწრაფი ტემპით, რაც თავის მხრივ, არ მოითხოვს ,,მასშტაბის ეფექტს''.

წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ტექნიკურ სიახლეთა სწრაფი დანერგვის საფუძველზე, მცირე საწარმოები მეწარმეობის ეფექტიან ფორმად ითვლება და ისინი ხშირ შემთხვევასი მსხვილი კორპორაციების სერიოზული კონკურენტები ხდებიან. მცირე ბიზნესში წარმოების ორგანიზაციის სიმარტივე, მართვის, მოქნილი სტრუქტურა და სხვა ფაქტორები იძლევიან მაღალი დონის მომსახურების გაწევის ან უმაღლესი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების საშუალებას.

ადამიანის მენტალიტეტით, მოსახლეობის დიდი ნაწილი ისწრაფვის საკუთარი ბიზნესისკენ. გარდა ამისა, კონკურენციული ბრძოლა აიძულებს მსხვილ კორპორაციებს, გადახედონ მათი საკადრო პოლიტიკის პირობებს. საკადრო როტაციები იწვევს უამრავი ნიჭიერი სპეციალისტის გამოთავისუფლებას კორპორაციული ბიზნესისგან და მათ გადადინებას მცირე ბიზნესში.

ემანსიპაციამ გამოიწვია საზოგადოებრივი შრომის პროცესში ქალის ფუნქციის ამაღლება. ამის გამო, 80-იან წლებში გერმანიაში 1,2, აშშ-ი 2 მილიონმა ქალმა წამოიწყო საკუთარი საქმე. ამ ტენდენციის ზრდის შემთხვევასი, ქალების და მამაკაცების ხვედრითი წილი მცირე ბიზნესში მომავალ 10 წელიწადში გათანაბრდა. ქალები მცირე ბიზნესში, როგორც წესი დასაქმებულნი არიან საოჯახო მცირე საწარმოებში ან არასრული სამუშაო დღის ხარჯზე.

A ამ ფაქტორებმა უკანასკნელ 10 წელიწადში მსოფლიოში მცირე ბიზნესის აღორძინება გამოიწვია. მცირე ბიზნესის განვითარებაზე დიდი ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ციკლურობა. როგორც წესი, მცირე ბიზნესის წამოწყება უფრო ეფექტიანია აღმავლობის ფაზაში, თუმცა მცირე საწარმოები ნაკლებად გრძნობენ საკრედიტო რესურსების დეფიციტს, რომელიც განპირობებულია სხვა ეტაპებზე ბანკების სიფრთხილით.

უპირველეს ყოვლისა, მცირე ფირმები, როგორც წესი, უხდიან მუშაკებს ნაკლებ ძირითად და დამატებით ხელფასს, ხოლო სამუშაო ადგილების 25% არის დატვირთული არასრული სამუშაო დღის გრაფიკით. მცირე საწარმოებში არიან დასაქმებული მუშაკები, რომელთა საშუალო ასაკი უფრო მაღალია ვიდრე მსხვილ

კომპანიებში. ბევრ მათგანს წინათ არ უმუშავიათ ამ დარგში. მცირე ფირმების მუშაკებს, როგორც წესი არ გააჩნიათ ისეთი განათლება, რაც მსხვილი ფირმების წარმომადგენლებს. იმ მუშაკების დასაქმებით, რომლებიც განათლების დონით არ შეესაბამებიან მსხვილი ფირმების მოთხოვნებს, მცირე საწარმოები გვევლინებიან ქვეყანასი სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად.

გარდა იმისა, რომ მცირე ბიზნესში ხდება ახალი საქონლისა და მომსახურების დანერგვა, ის ამავდროულად ხელს უწყობს დასაქმებას და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მსხვილ კორპორაციების საქმიანობაში. საქონლის რეალიზაციისა თუ მომსახურების თვალსაზრისით, მსხვილი კომპანიები სტრატეგიას წვრილ მიმწოდებლებზე ორიენტაციით აგებენ.

დღეისთვის იცვლება მდიდარი კლიენტების მოთხოვნილებები. ამიტომაც არის, რომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ არასტანდარტულ საქონელს, რომელიც შექმნილია ინდივიდუალური შეკვეთებით.

იმ შემთხვევაში, თუ მცირე ფირმის დაფუძნება გადაწყვეტილია, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როგორია მეწარმის შანსები ამ ბიზნესში, სტატისტიკა მეტყველებს, რომ ახლად შექმნილი 3 საწარმოდან მხოლოდ 1 აღწევს წარმატებას. ახლად შექმნილი საწარმოების 85% კოტრდება პირველი 10 წლის განმავლობაში.

მეცნიერთა გამოკვლევებით, ეს შანსები თანდათანობით იზრდება. თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული ბიზნესის ტიპზე და ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ მწარმოებელ ფირმებში წარმატების მეტი შანსია, ვიდრე იმ ფირმებში, რომლებიც ეწევიან ვაჭრობას. ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ფირმის სიცოცხლისუნარიანობას არის მისი დამაფუძნებლის რწმენა ბიზნესის წარმატებაში.

ძირითადი საკითხი ბიზნესის დაწყების პროცესში დასაგეგმია თუ რით შევიდეს იგი მომავალ ბიზნესში, ანუ უნდა მოიძებნოს პერსპექტიული ბიზნესი. ბიზნესი შეიძლება დაიწყოს ცარიელ ადგილას, მოქმედი ფირმის შესყიდვით, ან ფრენშაიზის ყიდვით. როგორც წესი, დამწყები ბიზნესმენების უმეტესობა საკუთარ საქმეს იწყებს ნულიდან.

ეს არის ბიზნესის ყველაზე რთული გზა. ამასთან, ამ გზით მოძრავი ბიზნესმენების უმეტესობას გააჩნდა ამ სფეროში საქმიანობის გამოცდილება, რის გამოც რისკი მინიმუმამდე დაიყვანება. ბიზნესი უნდა დაიწყოს იმ საქმიანობით, რომელიც მეწარმეს კარგად აქვს შესწავლილი.

იმ შემთხვევაში, თუ არ გაგვაჩნია პრაქტიკული გამოცდილება, გადამწყვეტ როლს თამაშობს კარგი იდეა. იდესი ძებნის პროცესში უმთავრესი არის ის, თუ რა უნდათ ადამიანებს ისეთი, რაც არ არის წარმოდგენილი საქონლისა და მომსახურების ბაზრის მოცემულ სეგმენტში. სამეწარმეო იდეების ცალკეული მიმარტულებანი ასახულია შემდეგ საქმეში (იხ.ცხრილი № 1).

ცხრილი № 1.

იდეა	**იდეის ახსნა**	**მაგალითი**
უფრო მაღალი კლასის საქონელზე გადასვლა.	აუცილებელია უკვე არსებული საქონლის მოდერნიზაცია.	მაგალითად, არსებული ნამცხვრის ან ტანისამოსი მოდერნიზება მომხმარებლის გემოვნების შესაბამისად.
უფრო დაბალი კლასის საქონელზე გადასვლა.	მაღალი ხარისხიან საქონელზე დანახარჯების, ფასების შემცირება.	მაგალითად ავტომანქანების გაქირავება დამატებითი მომსახურების გარეშე.
ბიზნესის გაერთიანება.	როდესაც ხდება მეწარმეობის ორი სფეროს გაერთიანება.	მაგალითად ავტომატიზებული სამრეცხაო, სადაც იყიდება საკვები ან გამაგრილებელი სასმელები.
ბიზნესის ტრანსპორტირება.	თუ საქონელი კარგად იყიდება ერთ რეგიონში, მისი გადატანა სხვა რეგიონებში.	მაგალითად, ნაციუნალური სამზარეულო კვების ობიექტების გადაადგილება.

მასობრივ ბაზარზე გადასვლა	სპეციალიზირებული საქონლისთვის უფრო ფართო მომხმარებლის მოძებნა.	მაგალითად, შაქრის ან სარეცხი ფხვნილის დაფასოება და ფართო მომხმარებელზე გაყიდვა.
ბაზრის შევიწროება	დიდი ბაზრის მცირე სეგმენტის ათვისება.	სოფლად საკაბელო ტელევიზიის დანერგვა.
ფასების კონკურენცია.	საქონლის უფრო დაბალ ფასში გაყიდვა.	საბითუმო ვაჭრობის ორგანიზება.

ახალი საწარმოს ყიდვა მნიშვნელოვნად ამცირებს რისკს იმის გათვალისწინებით, რომ მისი მდგომარეობა წინასწარ არის ყოველმხრივ ცნობილი. გამართლებულია წარმეობის ფუნქციონირებადი სისტემის ან მომსახურების ფუნქციონირებადი ობიექტის შეძენა, რადგანაც ის აგვაცილებს იმიჯის შექმნის, კლიენტურის მოზიდვის, მომსახურეთა მომზადების აუცილებელ პერიოდს. შედარებით მარტივია ასეთი საწარმოების დაფინანსებაც.

ბიზნესის შეძენის შესახებ გადაწყვეტილების მიღება მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას საჭიროებს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის პოტენციურმა მყიდველმა გულდასმით შეისწავლონ ბიზნესის ყიდვის მოტივები, განსაზღვრონ მისი არჩევის კრიტერიუმები. მყიდველმა უნდა გაითვალისწინოს თავისი თავისი გამოცდილების დონე (როგორც პროფესიული, ასევე არაპროფესიულიც), ანუ დაადგინოს, თუ რა ეხერხება ყველაზე მეტად, რა სახის საქმიანობა იტაცებს მასე.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მყიდველმა განსაზღვროს ბიზნესის სასურველი ადგილმდებარეობა და ინვესტიციისთვის საჭირო თანხა. თუ საჭირო თანხა არ არის ლიკვიდურ მდგომარეობაში, მაში მყიდველმა უნდა შეაფასოს, თუ რა შესაძლებლობები არსებობს თანხების გარე წყაროებიდან მიღების თვალსაზრისით. განისაზღვროს ბიზნესის სიდიდე შემდეგი პარამეტრების დადგენით: რეალიზაციის მოცულობა, მოგება და მუშახელის რაოდენობის გათვალისწინებით.

უნდა დაადგინოს არის თუარა ბიზნესი მომგებიანი და სტაბილური. რაც უფრო მომგებიანი და სტაბილურია ბიზნესი, მით უფრო დიდია მისი ფასი.

ქვემოთ მოცემული SWOT- ანალიზი მოიცავს მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებზე. (იხ, ცხრილი № 2)

ცხრილი № 2. **საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის SWOT-ანალიზი**

ძლიერი მხარე	**სუსტი მხარე**
• ხელსაყრელი ბიზნეს-გარემო • განვითარებული სახელმწიფო სერვისები და გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები • ბიზნესის დაწყების მარტივი პროცედურები • საკონსულტაციო მომსახურება მცირე და საშუალო საწარმოებისთვის • წვდომის სიმარტივე და დაბალი ხარჯი, როგორც რეგიონალურ ასევე საერთაშორისო ბაზრებზე • ლიბერალური საგარეო სავაჭრო რეჟიმები: თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან, ექსპორტის ხელშეწყობა (GSP) აშშ-თან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასთან და ნორვეგიასთან • მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერი ინსტიტუტები • მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერის სახელმწიფო პროგრამა	• სამეწარმეო უნარების და გამოცდილების ნაკლებობა • კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე • დაბალი პროდუქტიულობა • შეზღუდული წვდომა ფინანსებზე/გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე • ინოვაციების და კვლევის დაბალი დონე • ადამიანური კაპიტალის არასაკმარისი კონკურენტუნარიანობა • ტექნოლოგიების დანერგვის შეზღუდული შესაძლებლობა • ცოდნის დაბალი დონე უცხოური ბაზრების შესახებ • ინტერნაციონალიზაციის და ექსპორტის შეზღუდული შესაძლებლობა • მაღალი ხარჯი ახალი ტექნოლოგიების და ძირითადი საშუალებების • მცირე და საშუალო საწარმოების საკონსულტაციო მომსახურების მაღალი ღირებულება • ბიზნესის დახურვის სირთულე

შესაძლებლობები	საფრთხეები
• ექსპორტის დივერსიფიკაციის შესაძლებლობა • წარმოების დივერსიფიკაცია • საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება • ინოვაციებისა და ტექნოლოგიებს დანარგვის პოტენციალის გაძლიერება • თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა • მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუტების გაძლიერების მხარდაჭერა • ევროპული საწარმოთა ქსელში (Enterprise Europe Network) ინტეგრაცია-სავაჭრო კავშირები ევროკავშირში არსებულ კომპანიებთან	• შესაძლო საგარეო ეკონომიკური ფაქტორები (ფინანსური კრიზისი,საერთაშორისო ბაზარზე მოთხვნის შემცირება და ა.შ.) • ეკონომიკური ზრდის შესაძლო შეჩერება • პოლიტიკური არასტაბილურობა • ინვესტიციების დაბალი დონე მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორში • არასაკმარისი საექსპორტო შესაძლებლობა • მცირე და საშუალო საწარმოთა დაბალი შესაძლებლობები საერთაშორისო კონკურენციის ფონზე • DCFTA-ის მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა და მათთან ადაპტაციის დაბალი დონე • საექსპორტო ბაზრებზე არსებული მოთხოვნების არასაკმარისი ცოდნა

მცირე და საშუალო ბიზნესში შეიძლება გამოიყოს ვიწრო, მაგრამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქციები. კერძოდ:

- მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში იქმნება ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის დიდი ნაწილი. ასე მაგალითად, ევროკავშირის ექვს ქვეყანაში (ესპანეთი, ნიდრლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, იტალია) მცირე და საშუალო საწარმოთა ხვედრითი წონა მთელ საწარმოთა რაოდენობაში შეადგენს 80% და ისინი აწარმოებენ ამ ქვეყნებში ახლადშექმნილი ღირებულების 35-დან 70%-მდე.

- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის როლი დასაქმების პრობლემის გადაწყვეტასი. ევროკავშირის ზემოაღნიშნულ ექვს ქვეყანაში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ხვედრითი წონა მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 40-70 პროცენტის ფარგლებსი მერყეობს.

მცირე და საშუალო ბიზნესი საშუალებას იძლევა დასაქმდეს მეტი ადამიანი და ნაკლებად იყვნენ ისინი დამოკიდებულნი სახელმწიფო შემწეობაზე, როდესაც ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი საქმე, სამუშაო და შესაბამისად, შემოსავლებიც, სახელმწიფოს საგრძნობლად უადვილდება საკუთარი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის შესრულება.

უაღრესად მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოების როლი ადგილობრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებაში. ადგილობრივი რესურსების სიმწირის პირობებში მიზანშეწონილია მსხვილი საწარმოების შექმნა. ამ შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა რესურსებით მათი სხვა რეგიონებიდან მომარაგება, რაც გაზრდიდა წარმოების ხარჯებს და შეამცირებდა ასეთი საწარმოების კონკურენტუნარიანობას. მცირე საწარმოების პირობებში ადვილად ხდება ადგილობრივი მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება.

<u>მცირე და საშუალო ბიზნესის თავისებურებებია:</u>

1) ეკონომიკური რესურსების მართვის დროს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება. იგი განისაზღვრება საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობით, სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციული ფორმით (კოლექტიური თუ ინდივიდუალური), სამეწარმეო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სისტემით;

2) ახალი იდეები, საზოგადოების ეკონომიკური რესურესბის ახალი კომბინაციების ძიებისა და რეალიზაციის საქმიანობა. ი. შუმპატერი მეწარმის ნოვატორული საქმიანობის შემდეგ მიმართულებებს გამოყოფდა: ახალი პროდუქციის დამზადება და არსებულის სრულყოფა; წარმოების ახალი მეთოდების დამუშავება და

დანერგვა; გასაღების ახალი ბაზრების ათვისება; რესურსების ახალი წყაროების მიღება; წარმოების რეორგანიზაციის გატარება.

3) საბოლოო შედეგების მიღწევაში განუსაზღვრელობის არსებობა, ანუ სამეწარმეო რისკი. სამეწარმეო რისკი დაკავშირებულია ცნებასთან - "პასუხისმგებლობა'' და გულისხმობს მეწარმის პასუხისმგებლობას საზოგადოებრივი რესურსების, მათ შორის, საკუთარი და მოზიდული რესუსრების ეფექტიან გამოყენებაზე. სამეწარმეო რისკის სიდიდე განისაზღვრება მეწარმის მიერ არასწორად მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის ზომით, ხოლო სამეწარმეო რისკის ხარისხი კი - მეწარმის მართვის უნარის დონით, ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის სტაბილურობით, მეწარმის სამართლებრივი დაცულობის დონით და ა.შ.

ამრიგად, სამეწარმეო საქმიანობა (ბიზნესი) აერთიანებს მეწარმის, მესაკუთრის, ნოვატორის, მენეჯერის ფუნქციებს. მენეჯერისგან განსხვავებით, მეწარმე რეალიზაციას უკეთებს რა მესაკუთრის ფუნქციას, შეუძლია, დამოუკიდებლად შეცვალოს მეურნეობიობის პირობები, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება და პასუხი აგოს მის შედეგებზე.

გამომგონებლისა და მეცნიერ-თანამშრომლისგან განსხვავებით, მეწარმე ყოველთვის არ წარმოადგენს რესურსების გამოყენების ახალი ალტერნატიული ვარიანტების მამამთავარს, მთავარ შემოქმედს, მაგრამ მისი საქმიანობა ყოველთვის არის დაკავშირებული ახალი იდეების ცხოვრებაში განხორციელებასთან.

4) საინვესტიციო რესურსების მესაკუთრისგან განსხვავებით, მეწარმეს ხშირად აქვს აუცილებელი ცოდნა და მოტივაცია იმისთვის, რომ ეფექტურად მართოს ეკონომიკური რესურსები, ამავე დროს, იყენებს რა საკუთარ რესურსებს, მეწარმე თავის თავზე იღებს რისკს. თავისი შინაარსით ეს არის მესაკუთრის რისკი.

უნდა განვასხვავოთ ცნებები:" მეწარმე'' და "სამეწარმეო სამიქიანობა''. ეს უკანასკნელი არის მოქალაქის დამოუკიდებელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს შემოსავლების მიღებას. იგი ხორციელდება მესაკუთრის სახელით და მისი

ქონებრივი პასუხისმგებლობით. ამიტომ მეწარმე უნდა ჩავთვალოთ პირი, რომელიც რეალიზაციას უკეთებს სამეწარმეო ფუნქციას და საზოგადოებრივ-სამართლებრივი ფორმით იდენტიფიცირდება, როგორც მეწარმე ან ინდივიდუალური, ან კომერციული ორგანიზაცია. აღნიშნული საშუალებას აძლევს პირს, ვინც სამეწარმეო საქმიანობას ეწევა, მიიღოს მეწარმის საზოგადოებრივი სტატუსით გათვალისწინებული ყველა უფლება-მოვალეობა: დასაქმდეს კანონით ნებადართული საქმიანობით, დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი საკუთარი ბიზნესი და მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი.

საზღვარგარეთული და ადგილობრივი გამოცდილების ანალიზის შემდეგ დადგენილია, რომ მცირე ბიზნესის საწარმოებს ახასიათებს როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარეები.

დადებითი მხარეები:

- ადგილობრივ პირობებთან იოლი ადაპტაცია;
- მცირე საწარმოთა მოქმედების დიდი დამოუკიდებლობა, მოქნილობა და მიღებულ გადაწყვეტილებათა მიღებასა და შესრულებაში ოპერატიულობა;
- საქმიანობის განხორციელბის (განსაკუთრებით მართვის დროს) შედარებით დაბალი ხარჯები. პირველ საწყის კაპიტალზე შედარებით მცირე მოთხოვნილება და ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის საპასუხოდ სწრაფი ცვლილებები პროდუქციასა და წარმოების პროცესში.

  მცირე ბიზნესის მფლობელები უფრო მეტად მიილტვიან სახსრების დაზოგვისკენ და ორიენტირებულნი არიან ინვესტირებაზე, წარმატების მიღწევაში მათ ყოველთვის პირადი მოტივაციის მაღალი დონე აქვთ, რაც დადებითად მოქმედებს საწარმოს საქმიანობაზე, მთლიანად. მცირე ბიზნესი მსხვილ საწარმოებთან შედარებით ხელს უწყობს უმუშევარი მოსახლეობის დასაქმების ზრდას და პროფესიონალი მუშაკების მომზადებასა და პრაქტიკული ცოდნის გავრცელებას. მცირე ბიზნესს, მსხვილთან შედარებით, ცალკეულ ქვეყნებში უკავია დომინირებული მდგომარეობა, როგორც რიცხოვნობით, ისევე

საქონლის (შესრულებული სამუშაოს, მომსახურების) წარმოების ხვერდითი წონის მიხედვით.

მაგრამ, როგორც პრაქტიკა გვჩვენებს მცირე და საშუალო ბიზნესს ახასიათებს გარკვეული უარყოფითი მხარეები, რომელთა შორისაცაა:

- რისკის მაღალი დონე, რაც განაპირობებს ბაზარზე მდგომარეობის ნაკლებ სიმყარეს;
- მსხვილ კომპანიებზე დიდი დამოკიდებულობა;
- თავისი საკუთარი საქმის მართვაში დაშვებული შეცდომები;
- დამატებითი ფინანსური სახსრების სესხებაში და კრედიტების მიღება ში სიძნელეები. სამეურნეო პარტნიორების ნაკლები თვითდაჯერებულობა, ხელშეკრულებების დადებისას სიფრთხილე და სხვა.

მცირე ფირმების წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათი მესაკუთრეების მენეჯერული გამოცდილებით, ანუ პროფესიული არაკომპეტენტურობით. მცირე ფირმების წარუმატებლობის (ბანკროტის) სხვა მიზეზბია: ბიზნესის ხელმიშვებულობა, უყურადღებობა, აგრეთვე კატასტროფები, ხანძარი, ქურდობა, თაღლითობა და სხვა. საზოგადოების მოთხოვნილებების მუდმივი ძიება და მათდამი უწყვეტი მორგება წარმაოდგენს მცირე ბიზნესის სტრატეგიის საფუძველს. ზოგიერთი დასავლელი სპეციალისტი მცირე ბიზნესს განიხილავს, როგორც ახალი პიროვნული ურთიერთობების სკოლას, მომავალში მეწარმეობის განვითარების ორგანიზაციის მეთოდებისა და პრინციპების გამოცდის პოლიგონს.

მაგრამ, მრავალი საწარმოსგან განსხვავებით, მცირე ბიზნესის მეურნეობის ნაკლებად ხელსაყრელი პირობები განაპირობებენ მათ ნაკლებ სიმყარეს და ნაკლებ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ იგი საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას.

თავი 2. მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში

2.1. ბიზნეს გარემოს მიმოხილვა საქართველოში

ქვეყანაში არსებულ პრობლემათა შორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესია საკუთარი ჯანსაღი ეკონომიკის შექმან, რისი მიღწევაც შეუძლებელია ბიზნესის განვითარების გარეშე. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ძირითადი პირობაა.

ნებისმიერი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მისი ბიზნეს გარემოს შესწავლა და განვითარებისკენ სწრაფვა. განსაკუთრებით ყურადსაღებია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება განვითარებადი ქვეყნებისთვის მაგალითად, ისეთისთვის როგორიც საქართველოა.

ბიზნეს გარემო არის სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, რომელიც ზემოქმედებს კომპანიის გადაწყვეტილებებზე, სტრატეგიებზე. მიმდინარე პროცესებზე და რაც მთავარია ბიზნესის განვითარების შესაძლებლობების არსებობაზე.

ქვეყანაში, განსაკუთრებით კი განვითარებად ქვეყანაში, ბიზნეს გარემოს ფორმირებისთვის და განვითარებისთვის საკმაოდ რთული , გრძელი და შრომატევადი გზაა გასავლელი.

ბოლო წლებში საქართველიში მიმდინარე სოცლაურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ ძირითადად გაგვაჩნია სამომხმარებლო ღონისძიებებზე ორიენტირებული და არა მწარმოებლური ეკონომიკა, ამდენად შესაბამისი ფორმირება განიცადა ბიზნეს-გარემომ.

საქართველოს ეკონომიკა, განსხვავებით რეგიონის სხვა ქვეყნებისგან, ჩვეულებრივ სტრუქტურირებული იყო მცირე სა საშუალო სიდიდის საწარმოების და მომსახურების ირგვლივ. შედეგად, ეკონომიკის პროფილი, ზოგიერთი პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით ისეთი როგორიცაა უკრაინა და ბელორუსია (სადაც მძიმე მრეწველობა

აგრძელებს ოპერირებას) ან აზერბაიჯანი (სადაც მიმდინარეობს წიაღისეულის საწვავის აქტიური მოპოვება), ეკონომიკის პროფილის ნახშირბადის ემისიების ნაკლები ინტენსიურობით ხასიათდება.

საქართველოში დაახლოებით 723 000 კომპანიაა დარეგისტრირებული, რომლის დაახლოებით 25% ამჟამად აქტიურია. საქართველოში ადრე არსებული დეფინიციით, კომპანიების საერთო რაოდენობიდან 85%-ზე მეტი მცირე საწარმოების კლასიფიკაციაში ხვდება,ხოლო 9% საშუალოსიდიდის საწარმოებში. ვაჭრობისა და ტრანსპორტის სფერო ხასიათდება ყველაზე დიდი ბრუნვით რომელც 47% უტოლდება.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს-გარემოს შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციას თავად ბიზნესმენები ფლობენ, ისინი ყველაზე კარგად აფასებენ არსებულ ბიზნეს-გარემოს. საქართველოს ბიზნეს გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხავ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები მიერ. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები ძირითადად ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებს და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს.

საქართველომ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, რაც არაერთ საერთაშორისო რეიტინგში პოზიტიურად აისახება. მსოფლიო ბანკის ,,ბიზნესის კეთების“ 2019 წლის ანგარიშის მიხედვით, საქრთველომ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა, რეიტინგში 2012 წელთან შედარებით ქვეყნის პოზიცია 6 ადგილით გაუმჯობესდა,ხოლო სარეიტინგო ქულა 3.79 პუმქტით. (იხ. დანართი 1)

ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესდა რეიტინგის შემდეგ ინდიკატორებში:

- ბიზნესისი დაწყება - მე-7 ადგილიდან მე-2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- მინორიტარულ ინვესტორთა უფლებების დაცვა - მე-17 ადგილიდან მე- 2 ადგილზე გადმოინაცვლა;
- კონტრაქტების აღსრულება - 39-ე ადგილიდან მე-8 ადგილზე გადმოინაცვლა;
- გადასახადების გადახდა - 45-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადმოინაცვლა;

- ელექტროენერგიის ქსელთან მიმართება - 88-ე ადგილიდან 39-ე ადგილზე გადმოინაცვლა;
- ვაჭრობა საზღვრებს მიღმა - 47-ე ადგილიდან 43-ე ადგილზე გადმოინაცვლა.

მსოფლიო ბანკი ,,ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ერთ-ერთი ინდიკატორია გადახდისუნარიანობა, რომელიც მსოფლიოს 190 ქვეყანას აფასებს საწარმოს გადახდისუნარიანობის ან რეაბილიტაციის პროცესის დასრულებისთვის საჭირო დროის, დანახარჯისა და გადახდისუნარიანობის საქმისწარმოების შედეგის მიხედვით, ასევე, გადახდისუნარიანობის სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

2017 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა, საუკეთესო მაჩვენებლიდან დაშორებით მხოლოდ 40.2-ს შეადგენდა. 2018 წელს საქართველოს ქულა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საკანონმდებლო ცვლილების შედეგად და 55.59 ქულას გაუტოლდა. ქვეყნის სარეიტინგო ქულები კიდევ უფრო გაუმჯობესდა 2019 და 2020 წლებში და შესაბამისად, 56.03 და 56.20 ქულა შეადგინა. (იხ. ნახაზი 1)



ნხაზი 1.

მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება ეფუძნება საწარმოთა ბრუნვის მოცულობას, დასაქმებულთა რაოდენობას და გამოიყენება ბიზნესის შესახებ ოფიციალური სტატისტიკის მომზადების მიზნით.

- **საშუალოა საწარმო**, რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა მერყეობს 20-დან 100 დასაქმებულამდე და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1,5 მლნ. ლარს.
- **მცირეა საწარმო,** რომელშიც წლიურად დასაქმებულთა რაოდენობა არ აღემატება 20-მდე დასაქმებულს და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 500 ათას ლარს. (იხ. ცხრილი № 3)

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მცირე ბიზნესის განსხვავებულ კრიტერიუმებს და აგრეთვე, განმარტავს მიკრო ბიზნესის კრიტერიუმებს. აღნიშნული განმარტება გამოიყენება მხოლოდ საგადასახადო მიზნებისთვის და შემოღებულ იქნა მცირე და მიკრო ბიზნესისთვის სპეციალური დაბეგვრის რეჟიმის და საგადასახადო ადმინისტრირების მიზნით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, **მცირე ბიზნესის** სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 ათას ლარს. ხოლო, **მიკრო ბიზნესის** სტატუსი ენიჭება მეწარმეს (ფიზიკურ პირს), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ შრომას, დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. (იხ. ცხრილი № 3)

ცხრილი **№3. მცირე და საშუალო საწარმოების განმარტება საქართველოში**

მიკრო და მცირე ბიზნესი

საწარმოს ტიპი	**დასაქმება**	**ბრუნვა ფისკალური წლის განმავლობაში**
მცირე	წლიური 20-მდე დასაქმებული	არაუმეტეს 500,000.0 ლარისა

საშუალო	წლიური 100-მდე დასაქმებული	არაუმეტეს 1,500,000.0 ლარისა
სტატუსის ტიპი	**ჯამური ერთობლივი შეოსავალი** კალენდარული წლის განმავლობაში	
მიკრო ბიზნესი	არაუმეტეს 300,000.0 ლარი	
მცირე ბიზნესი	არაუმეტეს 100,000.0 ლარი	

სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულად ხდება ბიზნესის ზომების რანჟირება, თუმცა ძირითადად ყურადღება ექცევა საწარმოს ბრუნვასა და დასაქმებულთა რაოდენობას.

2.2. მცირე და საშუალო ბიზნესის როლი ქართულ ეკონომიკაში

მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებასი და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებისა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად შეიძლება მივიჩნიოთ. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტს, ინოვაციებს, თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას და ამავე დროს, განსაკუთრებულ როლს ასრულებს ქვეყნის კეტილდღეობის დონის ამაღლებაში.

“განვითარებულ ქვეყნებში (მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში), მცირე და საშუალო საწარმოებს მოქმედ საწარმოებში დიდი წილი უკავია, ქმნის სამეწარმეო სექტორის მთლაინი ბრუნვის 50%-ზე მეტს და ყოველი სამი სამუშაო ადგილიდან ორს კერძო სექტორში. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის

ქვეყნებში, კომპანიების 99%-ზე მეტს მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ და სასუალოდ ქმნიან მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2/3-ს. განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები საწარმოების მთლიანი რაოდენობის 90%-ზე მეტს წარმოადგენენ, თუმცა მათი წილი მშპ-ში საკმაოდ დაბალია -ხშირ შემთხვევაში 20%-ზე ნაკლები".[3]

საქართველოში კეთილდღეობის დონის მსოფლიოს საშუალო დონისგან თითქმის სამჯერ ჩამორჩება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საზოგადოებაში საშუალო კლასის ფაქტობრივად არარსებობაა, რასაც თავის მხრივ განაპირობებს მცირე და საშუალო ბიზნესის დაბალი წილი ქვეყნის ეკონომიკაში. კერძოდ მსხვილი ბიზნესის წლი 2-ჯერ, ხოლო მცირე ბიზნესის თითქმის 3-ჯერ ჩამორჩება ევროპულ დონეს.

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღევანდელ პიროებებში, მცირე ბიზნესის განვითარებას განსაკუთრებული მხარდაჭერა ესაჭიროება. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მცირე ბიზნესის განვითარებას ამჟამად ჩვენთან გააჩნია დიდი მნიშვნელობა არა მარტო რეგიონების ეკონომიკური და სოციალური, არამედ მთლიანად ქვეყნის საზოგადოების გარდაქმნის საქმეში.

სწოედ საქართველოში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალი და კიდევ არსებობს მრავალი შესაძლებლობა, მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს განვითარდეს ბიზნესის ეს სახეობა. ამ პროცესს ხელს უწყობს უკვე ჩამოყალიბებული ფულადი კაპიტალის განაწილების ახალი მექანიზმები და ახალი საფინანსო ურთიერთობები, რომლებიც ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი კაპიტალის ბაზარზე აწარმოებენ ფინანსების განაწილებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებამ საქართველოში შეიძლება გადაჭრას ისეტი პრობლემები, როგორიცაა:

[3] წყარო: ევროკომისიის 2010 : დიალოგი ,,მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკაზე" აღმოსავლეთ პარტნიორობის მრავალმხრივი ფორმატის ფარგლებში.

1. მოსახლეობის დასაქმება;
2. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა;
3. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელეა, მათ შორის, ეკონომიკური რეფორმები, რომელთა მთავარი მიზანი იყო ბიზნესის კეთების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, ეკონომიკის ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული ბარიერებისა და საგადასახადო ტვირთის შემცირების, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების, კორუფციასთან ბრძოლისა და სხვა გზებით. ამ რეფორმების შედეგად, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა დადებითად იქნა შეფასებული სხვადასხვა სარეიტინგო სააგენტოების და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ და შესაბამისი შედეგები აისახა იმ ინდექსებსა და რეიტინგებში, რომლებითაც ფასდება ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლება.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ მცირე და საშუალო საწარმოებზე მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი, მათი წვლილი მშპ-ში კვლავ ძალიან დაბალია.

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გარემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მრავალნაირად გამოიხატება. კერძოდ, დღეისთვის საქართველოში ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები იმ მიმართულებით, რომ პირველ რიგში მოხდეს ქვეყნის შიდა ბაზარის დაცვის რეგულირება, სრულყოფილი იყოს საბაჟო სისტემის მუშაობა, აიკრძალოს დაუბეგრავი საქონლის შემოტანის ფაქტები, კორუფცია, რაც წარმოადგენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესისა და მეწარმეობის განვითარების შეფერხების მძლავრ ფაქტორს და არ აძლევს განვითარების საშუალებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, რადგან მან შეიძლება დაასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკის წარმატებით ფუნქციონირების ძირითადი პირობაა მცირე ბიზნესის განვითარება. მცირე და საშუალო ბიზნესი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს როგორ ინდუსტრიულად განვითარებული, ისე განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც ამ სფეროს პრობლემების მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. სახელმწიფო მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სანაცვლოდ მიიღებს ისეთ საშუალო შემლებულ ფენას, რომელსაც შესწევს უნარი საკუთარი ძალებით უზრუნველყოს თავისი კეთილდღეობა და ცხოვრების ღირსეული დონე.

თავი 3. მცირე და საშუალო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები,პერსპექტივები და განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

3.1. მცირე და საშუალო ბიზნესის მდგომარეობა, პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში

მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ქვაკუთხედია. მას გადამწყვეტი როლი უკავია ქვეყნის რესურსული პოტენციალის ამოქმედების, ეკონომიკის სტაბილური, დინამიური განვითარების, მოსახლეობის დასაქმების, შემოსავლების დონის ამაღლების და სხვა სოციალური პრობლემების გადაჭრის საქმეში.

მცირე და საშუალო ბიზნესი განსაკუთრებულ ფუნქციას იძენს გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის. აქ მისი როლი არ განისაზღვრება მხოლოდ საბაზრო სისტემის განვითარებითა და მისი მექანიზმის სრულყოფით, რაც თავსთავად უაღრესად მნიშვნელოვანია. საქართველოსა და მის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნებისთვის უპირველესი ამოცანაა თვით ამ საბაზრო სისტემის საფუძვლების შექმნა, რაც მცირე და საშუალო საწარმოების ჩამოყალიბებით იწყება. მათი მეშვეობით მიიღწევა დიდი ზომის საწარმოების ბაზართან ადაპტირება და კონკურენტუნარიანობის ზრდა, ეკონომიკური ტრანსფორმაციის შედეგად წარმოქმნილი ჭარბი სამუშაო ძალის დასაქმება, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური წონასწორობა.

მცირე და საშუალო საწარმოების შექმნას ჩვენს სინამდვილეში აქვს სპეციფიკური ხასიათი. თუ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ისინი წარმოადგენენ დიდი ფირმების ჩამოყალიბების საწყისს, გარდაქმნადი ეკონომიკის პირობებში ხშირ შემთხვევაში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე. მიმდინარეობს მსხვილი მონოპოლისტური, არაეფექტური საწარმოების ეკონომიკური რყევებისა და

ცვალებადი სიტუაციებისადმი უფრო ადაპტირებადი, მცირე საწარმოებად რეორგანიზების პროცესი.

საკუთარი მოქნილობისა და დინამიურობის წყალობით მოთხოვნილების ცვლილებაზე სწრაფად რეაგირებენ მცირე საწარმოები და ამდენად, წარმოადგენენ ინოვაციის წყაროს, ქმნიან დამატებით ბაზარს მსხვილი საწრამოების კუთვნილი მეორადი მოხმარების მანქანა-დანადგარების გასაღებისთვის, მეწარმე იძენს გამოცდილებას, რაც აუცილებელია ეკონომიკაში ინდივიდუალური დანაზოგების და ინვესტიციების მოზიდვისთვის, კერძო სექტორის განვითარებისთვის.

საქართველოში მცირე საწარმოთა ფორმირების პროცესი ატარებს რთულ, წინააღმდეგობრივ ხასიათს და მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული. ეს განპირობებულია მრავალი გლობალური მიზეზით, რომელთაგან ძირითადია: საინვესტიციო და საკრედიტო მიმზიდველობის დაბალი დონე, ბაზრის არასრულყოფილება, ბიუროკრატიზმი და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმ არახელსაყრელი გარემოს შესახებ, რომელშიც აღმოჩნდნენ პატარა ფირმები ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის დემონტაჟის მიმდინარე პროცესში. კერზოდ ისინი განიცდიან ზეწოლას მონოპოლისტი საწარმოების მხრიდან. მცირე საწარმოები ვერ უწევენ მათ ჯეროვან კონკურენციას დანახარჯების მაღალი დონის გამო.

ათწლეულების განმავლობასი კერძო ეკონომიკური საქმიანობის სისტემატიური შეზღუდვის შედეგად, სამეწარმეო ტალანტის მქონე ინდივიდების უმრავლესობა აღმოჩნდა არასათანადოდ მომზადებული. მათი აკლიათ გამოცდილება, პროფესიული ორიენტაცია და რაც უაღრესად მნიშვნელოვანია - ერთობ მწირია მოსახლეობაში არსებული კერძო დანაზოგების მოცულობა.

აღნიშნულ პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნის და განხორციელების გარეშე. მისი მეშვეობით უზრუნველყოფილი უნდა იქნას მცირე და საშუალო საწარმოთათვის "სათბურის პირობების" შექმნა, მათი დაცვა

ანტიკონკურენტული სტრუქტურების ზემოქმედებისგან, პროტექციონიზმი მატერიალური და ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის და პროდუქციის რეალიზაციის სფეროში.

განსაკუთრებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მოწმობს, რომ ეს დარგი სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტია. მათ მიერ კანონმდებლობით აღიარებულია მცირე და საშუალო საწარმოების უმნიშვნელოვანესი როლი ეკონომიკის დაბალანსებული განვითარების საქმეში. საწარმოებს გაეწევათ სამთავრობო მხარდაჭერა საქმიანობის დაგეგმვის, კოორდინირების და საფინანსო რესურსების ფორმირების ხაზით.

მცირე და საშუალო საწარმოთა ჩამოყალიბება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება უნდა დავუქვემდებაროთ სახელმწიფო პოლიტიკით განსაზღვრული მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტას, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქვეყნის საწარმოო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, მეურნეობის დარგათა და რეგიონების პროპროციული დაბალანსებული განვითარება. არსებითად სწორედ ასეთი მიდგომის და რეგულირების შესაბამისი მექანიზმების დეფიციტმა განაპირობა ჩამორჩენა და ღრმა დისპროპორციები ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის დარგობრივ სტრუქტურაში. კერძოდ, საწარმოთა თითქმის ნახევარი მოდის ვაჭრობასა და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტზე მაშინ, როდესაც წარმოებული პროდუქციის და მომსახურების საერთო მოცულობაში მათი წილი მხოლოდ 14%-ია.

მცირე და საშუალო საწარმოებმა ვერ მოიკიდეს ფეხი სოციალური მომსახურების ხაზით. არ იგრძნობა მათი როლი სოფლის მეურნეობის, თევზჭერის, სამთომომპოვებელი მრეწველობის და ენერგეტიკის სფეროში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებვის და დასაქმებულთა რაოდენობის მაჩვენებლების ცვალებადობას 2019 წლის III კვარტალში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. (იხ. ცხრილი №4)

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას აფერხებს არასტაბილური საფინანსო სიტუაცია, რაც ურთულესი მიკროეკონომიკური პრობლემაა და გულისხმობს, პირვე რიგში, საბიუჯეტო დეფიციტის მინიმუმამდე შემცირებას, მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, საპროცენტო განაკვეთების შემცირებას, ურთიერთობის გაუმჯობესებას მეწარმე სუბიექტებს შორის და გაცვლითი კურსის შედარებით სტაბილიზაციას.

მნიშვნელოვან პრობლემად რჩება, აგრეთვე ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და რესტრუქტურიზაციის დასრულება, რასაც უნდა მოჰყვეს ბაზრების გამჭვირვალობა. გამჭვირვალე უნდა იყოს, აგრეთვე, მაკროეკონომიკური ღონისძიებები, სტატისტიკა, საბანკო სისტემა და სამეწარმეო კანონმდებლობა.

მთლიან ბრუნვაში რეგიონების მიხედვით ლიდერობს ქ.თბილისი, სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ.თბილისი - 75.1%
- აჭარა ა.რ. – 7.7%
- ქვემო ქართლი - 4.4%
- იმერეთი - 4.1%
- სამეგრელო-ზემო სვანეთი - 2.6%

პროდუქციის მთლიანი გამოშვება ლიდერობს კვლავ ქ.თბილისი, სხვა რეგიონები შემდეგი თანმიმდევრობით:

- ქ.თბილისი - 64.2%
- აჭარა ა.რ. -9.1%
- ქვემო ქართლი -6.8%
- იმერეთი -5.9%
- სამეგრელო-ზემო სვანეთი -3.6%.

ქვემოთ მოცემული გრაფიკა ასახავს რეგიონების (ქ.თბილისის გარდა) მიხედვით ბრუნვას და პროდუქციის გამოშვებას (იხ. დანართი 2).

	პროდუქციის გამოშვება (მლნ.ლარი)			დასაქმებულთა რაოდენობა (კაცი)		
	2018 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალის ზრდის ტემპი, 2018 წლის III კვარტალთან შედარებით	2018 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალი	2019 წლის III კვარტალის ზრდის ტემპი, 2018 წლის IIIკვარტალთან შედარებით
საქმიანობაა სახეების მიხედვით-სულ	10652.2	12 762.8	119.8	665 466	695 994	104.6
სოფლის,სატყეო და თევზის მეურნეობა	104.0	108.1	103.9	11 686	11 877	101.6
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	194.4	210.5	108.3	8 943	8 484	94.9
დამამუშავებული მრეწველობა	2280.6	2 748.2	120.5	88 214	89 682	101.7
ელექტრო ენერგიის,აირის ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება	383.8	386.6	100.7	14 782	15 153	102.5
წყალმომარაგება;კანალიზაცია; ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები	80.2	89.0	110.9	14 123	14 276	101.1
მშენებლობა	2059.7	2 656.8	129.0	71 365	71 955	100.8
საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტი	1809.8	2 155.2	119.1	170 934	182 636	106.8
ტრანსპორტი და დასაწყობება	1062.2	1 173.8	110.5	53 852	56 378	104.7
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების	532.7	603.7	113.3	37 371	40 550	108.5

მიწოდების საქმიანობა						
მათ შორის:						
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფა	270.4	304.5	112.6	15 095	16 492	109.3
საკვებითა და სასმელებით მომსახურება	262.4	299.2	114.0	22 277	24 058	108.0
ინფორმაცია და კომუნიკაცია	383.1	462.2	120.7	21 379	23 722	111.0
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	315.8	388.3	123.0	18 105	20 083	110.9
პროფესიული,სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	310.2	400.8	129.2	21 940	24 471	111.5
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	258.2	306.4	118.7	23 227	23 883	102.8
განათლება	79.5	87.6	110.2	16 435	16 733	101.8
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა	418.8	469.9	112.2	68 878	71 398	103.7
ხელოვნება, გართობა,დსვენება	341.7	474.3	138.8	15 974	16 213	101.5
სხვა სახის მომსახურება	37.5	41.3	109.9	8 258	8 500	102.9

ცხრილი № 4. ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვება და ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (2019 წელი). [4]

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესი ყალიბდება ეკონომკის და განვითარების სხვადასხვა ეტაპისთვის დამახასიათებელ არაერთგვაროვან და არაერთნაირად ხელსაყრელ სამეწარმეო გარემოში. ამის გამო განვლილ პერიოდში ეს პროცესი არ ატარებს საკმარისად ორგანიზებულ და თანმიმდევრულ ხასიათს.

[4] **წყარო - სამეწარმეო საქმიანობის შედეგები 2019 წლის III კვარტალი**
https://www.geostat.ge/media/28297/sacarmota-saqmianobis-shedegebi_III_2019.pdf

მთლიანი ბრუნვა 2019 წლის III კვარტალში ნაწილდება შემდგენაირად - 51.9% მოდის მსხვილ ბიზნესზე, 19.9% - საშუალო ბიზნესზე, ხოლო 28.2 % - მცირე ბიზნესზე .

პროდუქციის მთლიანი გამოშვების შემთხვევაში უმნიშვნელოდა განსხვავებული მდგომარეობაა: პროდუქციის გამოშვების 38.2% მოდის მსხვილ ბიზნესზე, საშუალოზე -23.7%, ხოლო მცირე ბიზნესზე - 38.1%.

საწარმოთა მიერ განხორციელებულმა საქონლისა და მომსახურების მთლიანმა ყიდვებმა 2019 წლის III კვარტალში 18.3 მლრდ. ლარი (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23.0% მეტია),ხოლო გადასაყიდად განკუთვნილი საქონლისა და მომსახურების ყიდვებმა -10.4 მლრდ. ლარი შეადგინა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 13.9% მეტი). (იხ. დანართი 3)

2019 წლის III კვარტალში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 696.0 ათასი კაცით განისაზღვრა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოსი მაჩვენებელს 4.6%-ით აღემათება. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 40.9% ქალია, ხოლო 59.1% - კაცი.

დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა 36.3% მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.2% - საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 41.5 % - მცირე ბიზნესზე.

დაქირავებულთა მთლიანმა რაოდენობა 652.2 ათასი კაცი შედაგონა (გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით - 3.9%-ით მეტია). საწარმოთა მთლიანი დანახარჯები პერსონალზე - 2 632.6 მლნ. ლარით განისაზღვრა (გასული წლის შესაბამისი პერიოდთან სედარებით 16.9%-ით მეტია). (იხ. დანართი 4)

2019 წლის III კვარტალში სასუალო თვიური ხელფასი ბიზნეს სექტორსი 1 316.2 ლარს გაუტოლდა (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 129.5 ლარით), მათ შორის ქალების ხელფასმა შეადგინა - 979.8 ლარი (გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 87.2 ლარით). საწარმოთა ზომის მიხედვით სასუალო თვიური ხელფასი შემდეგნაირია:

- მსხვილი ბიზნესი - 1 281.1 ლარი,
- საშუალო ბიზნესი - 1 463.6 ლარი,

- მცირე ბიზნესი - 1260.2 ლარი.

2019 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის სტრუქტურაში ყველაზე მაღალი წილი - 38.5% მოდის ვაჭრობის დარგზე (ავომობილების და მოტოციკლეტების რემონტის ჩათვლით). მეორე ადგილზეა ხელოვნება, გართობა დასვენება 24.1%-იანი წილით, შემდეგ მოდის დამამუშავებელი მრეწველობა - 9.5%-იანი წილით, მშენებლობა- 8.8% -იანი წილით, ტრანსპორტი და დასაწყობება- 5.6 %-იანი წილით, ელექტრო ენერგიის,აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება - 2.5%-იანი წლით, ხოლო დარჩენილი 11.1 % კი სხვა დარგებზე ნაწილდება. (იხ. დანართი 5)

2019 წლის III კვარტალში ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვებაში პირველ და მეორე ადგილს იკავებს დამამუშავებელი მრეწველობა (21.5%) და მშენებლობა (20.8%), შემდეგ მოდის ვაჭრობა - 16.9% და ტრანსპორტი, დასაწყობება - 9.2%-იანი წილით, ხოლო დანარჩენ დარგებს სტრუქტურაში 31.6%-იანი წილი უჭირავს. (იხ. დანართი 6)

2019 წლის III კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით, ბიზნეს სექტორში ვაჭრობის (საბითუმო და საცალო ვაჭრობ; ავტომობილებისა და მოტოციკლეტების რემონტი), დამამუშავებელი მრეწველობა და მშენებლობის დარგები ლიდერობენ (შესაბამისი 26.2%, 12.9% და 10.3%-იანი წილებით). თუმცა, სტრუქტურაში მნიშვნელოვანი წილი მოდის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების (10.3%). ტრანსპორტისა და დასაწყობების (8.1%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობების დარგის საწარმოებზეც (5,8%). (იხ. დანართი 7).

ამრიგად, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების კარგი შესაძლებლობა არსებობს, თუმცა მისი რეალობად გადაქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. ამ უკანასკნელთა შორის მთავრობის მიერ აღნიშნული სფეროს მხარდაჭერა და წახალისება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია .

3.2. მცირე და საშუალო ბიზნესისს განვითარების მხარდაჭერის სახელმწიფო პოლიტიკა

ბოლო წლებში საქართველოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა დადებითი გავლენა იქონია მეწარმეობის, ბიზნესის განვითარებაზე, მაგრამ ჩვენ ძირითადად გაგვაჩნია სამომხმარებლო ღონისზიებებზე ორიენტირებული და არა მწარმოებლური ეკონომიკა, ამდენად შესაბამისი ფორმირება განიცადა ბიზნეს-გარემომ.

ფაქტია, რომ საქართველოში ბიზნეს-კლიმატი იცვლება, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს.

საქართველო საკუთარ განვითარებას უკავშირებს მსოფლიო დინამიზმის გლობალურ კანონზომიერებას, დამოუკიდებლად წყვეტს დასაქმებას და ეკონომიკური ზრდის პრობლემებს. კვლავ აქტუალურია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, რომელიც მიმართული იქნება მსოფლიოს ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის ზრდისკენ და ქვეყანაში სოციალური პრობლემის გადაწყვეტისკენ.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოს ეკონომიკური გარემო ყოველწლიურად ფასდება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ. საერთაშორისო შეფასება ძირითადად ეფუძნება ანგარიშებს, ახალ კანონებსა და საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზს. ამ შეფასების უკან არ დგას უშუალოდ მეწარმეობის მოსაზრებები და კონკურენტული პრობლემები. ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბიზნეს-გარემოს შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას თავად ბიზნესმენები ფლობენ, ისინი ყველაზე კარგად აფასებენ არსებულ ბიზნეს-გარემოს.

საქართველო ცდილობს შევიდეს ევროკავშირში და ორიენტირებულია ეკონომიკის გაძღოლის ევროპულ სისტემაზე. ჩვენში არსებული მსხვილი საწარმოები არსებითად ჩართულნი არიან მსოფლიოს შრომის დანაწილებაში და ისინი ასრულებენ რეგიონალური მნიშვნელობის საწარმოო სიმძლავრეთა როლს. მათი მნიშვნელობა

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის არსებითია, მაგრამ მათ საკუთარი ტექნოლოგიური შეზღუდულობისა და მსოფლიო ბაზარზე ადგილიდან გამომდინარე არ ძალუძთ საქართველოში გადაწყვიტონ დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემები. ეს ობიექტური რეალობა გასაგებია ევროპისთვისაც და ევროკავშირის მოქმედი ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა, სიღარიბის დაძლევისა და დასაქმების დონის ამაღლების საქმეში, მიმართულია არა მსხვილი საწარმოებისკენ, არამედ მცირე და საშუალო მეწარმეობისადმი. საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყანას გლობალიზაცია უქმნის კონკურენციის უაღრესად მნიშვნელოვან პირობებს. კონკურენტული ბრძოლა მძაფრდება და ქვეყნები იძულებულნი ხდებიან დამორჩილდნენ მსოფლიო ბაზრის რეალობას. ამ თვალსაზრისით მნისვნელოვანია მცირე საწარმოთა სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა.

საქართველოში მცირე ბიზნესის სფეროში სტრატეგიული ცვლილებების გარეშე შეუძლებელია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია და ერთობლივი მეწარმეობა, ასევე შეუძლებელია საშუალო კლასის არსებობა და შესაბამისი პირობები უკონპლიქტო საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციისთვის და საბაზრო პროცესების გლობალიზაციისთვის.

ბიზნეს სუბიექტების ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია გარკვეული ინსტიტუციური სტრუქტურების, ნორმებისა და წესების არსებობა. დღეს ფირმები გლობალური ბაზრის პირობებში მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, რაც დამატებით სიძნელეებსა და პრობლემებს ქმნის ეროვნული და მსოფლიო ბაზრის სუბიექტებთან ურთიერთობაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნეს მხარდაჭერის თანამედროვე ფორმების შერჩევას სახელმწიფოები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. სახელმწიფოსა და ბიზნეს შორის ურთიერთობების შინაარსი, პრინციპები და მათი რეალიზაციის ფორმები მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის დახმარების მნიშვნელოვანი მიმართულებებია:

- ფინანსური და სარისკო კაპიტალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოდა;
- მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების იჯარით მიღებისა და შეღავათიანი პირობებით შესყიდვის ოპტიმალური პირობების შექმნა;

- საინფორმაციო სისტემებით სარგებლობის უზრუნველყოფა და მონაცემთა ბაზებზე წვდომა;
- საკონსულტაციო მომსხურების მიღება დაბეგვრის, დაზღვევის, დაგეგმვის, მარკეტინგის საკითხებში და სხვა.

ბიზნესის მხარდაჭერის სხვადასხვა ფორმაში მონაწილეობას ხელისუფლების ყველა დონე უნდა ღებულობდეს (უმაღლესი სახელმწიფო დონიდან მუნიციპალური მმართველობის დონემდე).

მსოფლიოში დაგროვილია ბიზნესის მხარდამჭერი მნიშვნელოვანი გამოცდილება. გასათვალისწინებელია, რომ თითოეულ ქვეყანაში მხარდამჭერი ფორმების განხორციელება დამოკიდებულია განვითარების ეროვნულ და ისტორიულ თავისებურებებზე, შემუშავებულ საკანონმდებლო ღონისძიებებზე. ყოველივე აღნიშნული მიმართული უნდა იყოს ბიზნესმენთა აქტივობის ხელშემწყობი პირობების შექმნაზე.

ბიზნესის მხარდამჭერი ფორმების შერჩევა დამოკიდებულია, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ეროვნულ ტრადიციებზე, ბიზნესის მართვის კულტურაზე, პრიორიტეტული დარგების სტრუქტურასა, განვითარების თავისებურებებზე და სხვა.

ბიზნესის მხარდაჭერის ოპტიმალური ფორმების გასაანალიზებლად დავეყრდენით საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის კვლევისმასალებს, რომელის თანახმადაც საქართველოში გამოკითხულ საწარმოთა 42%-ის გამოცდილება 5 წელს არ აღემატება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში ბიზნესის მართვის კულტურა და ტრადიციები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული. ამას ისიც ემეტება, რომ საქართველოში არსებული ბიზნესგარემო და შესაბამისად კანონმდებლობა არასტაბილურია და კვლავაც განვითარების საწყის ეტაპზეა.

ქართული მცირე და საშუალო კომპანიების ნახევარი მთავარ გამოწვევად ბაზარზე წვდომას ასახელებს, დანარჩენი 40% ძირითად პრობლემად ფინანსებზე წვდომას მიიჩნევს და მხოლოდ 10% მიაჩნია ცოდნაზე წვდომა მთავარ ბარიერად. საინტერესოა ისიც, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი საკუთარ თავს საშუალო ზომის

კომპანიად მიიჩნევს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო და საქსტატის ახალი მეთოდოლოგიის თანახმად, მცირე ზომის კომპანიებს განეკუთვნებიან. კომპანიები, რომელთა წლიური ბრუნვაც 2 მლნ ლარს აღემატება და რამდენიმე ადამიანი მუდმივად ჰყავთ დასაქმებული, ხშირად თავს საშუალო ზომის ბიზნესად თვლიან, მაშინ როდესაც რეალურად მცირე და მიკრო საწარმოთა რიცხვს განეკუთვნებიან.

<u>ფინანსებზე წვდომის ბარიერები</u>

,,საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სიცოცხლის უნარიანი მცირე და საშუალო საწარმოების სექტორის შექმნის თვალსაზრისით. მიღწევებს შორისაა მოხსა საქმინაობის წამოწყებისას, ბიზნესის რეგისტრირების გამარტივება, გადასახადების შემცირება და გონივრული მარეგულირებელი გარემოს შექმნა.

თუმცა, ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მთავარ ბარიერად რჩება. ისინი აწყდებიან უფრო მაღალ ღირებულებას, ვიდრე ესაა დიდი საწარმოების ან მსგავსი სიდიდის კომპანიების შემთხვევაში ევროპის ქვეყნებში. ეს ძირითადი ბარიერებია:

- კომერციული ბანკები საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსების მთავარი წყაროა. ზოგადად, ბანკები ამ სექტორ განიხილავენ, როგორც შედარებით მაღალი რისკის მატარებელს. შედარებით პატარა საწარმოებს არ გააჩნიათ კრედიტისთვის საჭირო უზრუნველყოფა და საკრედიტო ისტორია საბანკო სექტორთან საკონტაქტოდ. ამასთან, ისინი შესაძლოა უკვე დატვირთულნი იყვნენ სესხებით და ამგვარად არ გააჩნიათ შესაძლებლობა გააფართოვონ კრედიტის მოცულობა. ქართული ბანკები და განსაკუთრებით საერთაშორისო წილობრივი მონაწილეობით მოქმედი ბანკები ძალზედ მგრძნობიარენი არიან უიმედო სესხების მიმართ, ზრუნავენ მყარი საბალანსო ანგარიშებზე და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტზე.
- სესხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მოთხოვნები მნიშვნელოვან ბარიერს წარმაოდგენს. ბანკები ზოგჯერ უზრუნველყოფის სახით კრედიტის საერთო მოცულობის 130%-ს ითხოვენ (ჩვეულებრივ, უძრავი ქონება ან მიწის

სახით). მრავალი მცირე და სასუალო საწარმოებისათვის ეს საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან მათი ფიქსირებული აქტივები ბევრად მცირეა ან ის, რაც მათ შეუძლიათ შესთავაზონ, არამატერიალური აქტივია.

- მაღალი საპროცენტო განაკვეთი, განსაკუთრებით ადგილობრივ ვალუტაში აღებულ სესხებზე, აგრეთვე წარმოქმნის ფინანსებზე წვდომის ბარიერებს მრავალი მცირე და სასუალო საწარმოსთვის საქართველოში. განაკვეთები სესხებზე ჩვეულებრივ მაღალია (დაახლოებით 23% ინდმეწარმეებისთვის და 16% იურიდიული პირებისთვის), რაც რისკების მაღალი აღქმადობის მაჩვენებელია.
- ხელმისაწვდომი დაფინანსების ხანგრძლივობა (ან ვადა) აგრეთვე წნეხად აწვება ბიზნესს. ხშირად სესხის დაფარვის ვადა მოკლეა
- სესხების დოლარიზაციის საკითხიც საპროცენტო განაკვეთების თემასთანაა დაკავშირებული. ბოლო 5წლის განმავლობაში, ბევრმა მცირე და საშუალო საწარმომ გადაწყვიტა სესხი აეღო უცხოურ ვალუტაში, მასზე დაბალი განაკვეთის გამო. თუმცა, ამ შემთხვევაში არ არიან დაზღვეულნი ადგილობრივი ვალუტის კურსის ცვლილებისგან და გაცვლითი კურსის გავლენებისგან. ადგილობრივი ვალუტის გაცვლითი კურსის ვარდნამ (როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა ბოლო წლების განმავლობაში) გამოიწვია სესხის ღირებულების საბოლოო გაძვირება.
- ბანკები აგრეთვე აწყდებიან მცირე და საშუალო საწარმოებს შორის დაბალ ფინანსურ სესაძლებლობებს და ცოდნას, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ფინანსებზე წვდომისა და სესხების კალკულაციისთვის. სუსტი საკრედიტო ისტორია და ბიზნეს გეგმა ხელს უშლის სესხის აღებას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ეკონომიკა უფრო ლიბერალური და ბევრად ჩამოყალიბებული გახდა.
- საქართველოში ბანკები ისწრადიან უფრო ცენტრალიზებული საკრედიტო სისტემისკენ, რაც გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენს მცირე და საშუალო

საწარმოებისთვის, რათა მათ რეგიონებსი მიიღონ სესხები. კრედიტოფიცრები რეგიონებში არ არიან უფლებამოსილნი მიიღონ სესხის გაცემის გააწყვეტილება".[5]

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა გაყიდვები. მათ, როგორც წესი, არ მიუწვდებათ ხელი სადისტრიბუციო სისტემებზე, არ აქვთ შესაბამისი მარკეტინგული და გაყიდვებთან დაკავშირებული ცოდნა და უნარ-ჩვევები. ამასთან, საშუალო და დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის მყიდველობითუნარიანობის შმცირება, რაც, თავის მხრივ, კრიზისითაა გამოწვეული, პირდაპირ მოქმედებს სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე.

ბიზნესის სახელმწიფოს მხრიდან მხარდამჭერი ფორმების შესახებ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია გარკვეული რეკომენდაციები. თუმცა, ცალკე კვლევას საჭიროებს კერძო სექტორი იმის შესახებ, თუ რა მიმართულებითაა საჭირო ამ სექტორის მხარდაჭერა, ვინ უნდა იყოს მხარდამჭერები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ერთიანი პოლიტიკის გატარება როგორც სახელმწიფოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. აღნიშნული უზრუნველყოფს ბიზნესის წინაშე მდგარი პრობლემების ოპერატიულად მოგვარებას. მიზანმიმართული ღონისზიებები განხორციელებისთვის კი აუცილებელია, ზუსტდა მოხდეს პრობლემების იდენტიფიკაცია და რეანჟირება.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული პრობლემები განსაკუთრებულად მწვავეა მცირე კომპანიებისთვის, მაგალითად საგადასახადო ჯარიმების მოცულობა, ადმინისტრაციული ბარიერები და სხვა.

სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის მხარდამჭერი ფორმების გამოვლენა იმ პრობლემების შემეცნებას ეფძნება, რომლებიც განსაკუთრებულად აქტუალურია ფირმებისთვის.

თანამედროვე ეტაპზე ძირითადად შემდეგი პრობლემებია გამოკვეთილი:

[5] წყარო(საქართველოში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების წვდომა მწვანე ფინანსებზე - https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka

- საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილება და რთულად აღსაქმელი ტერმინოლოგია;
- დასაბუთებული-შეღავათების სისტემა;
- მცირე ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის არსებობა;
- რთული-ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე, განსაკუთრებით შეღავათიან კრედიტებზე;

შიდა და საერთაშორისო-გასაღების ბაზრებზე შეღწევის რთული ბარიერები და სხვა.

D დასახელებული პრობლემების შესაბამისად სახელმწიფომ გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სოციალური-ეკონომიკური პრობლემების მოწესრიგებაში ბიზნესის მხარდამჭერი ოპტიმალური ფორმების შერჩევის გზით. ამით შესაძლებელი გახდება ბიზნესის ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების შექმნა, მათი ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა. ბიზნესის სახელმწიფო რეგულირება, როგორც ეკონომიკის ნორმალური ფუნქციებისა და განვითარებისთვის ორგანიზებული, სამართლებრივი და პოლიტიკური უზრუნველყოფის სისტემა, საჭიროა მოიცავდეს:

- სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთკავშირის მექანიზმს;
- ბიზნესის ფუნქციონირებისთვის ხელსაყრელი მაკროეკონომიკური გარემოს შექმნის ზოგად მიზნებს;
- ბიზნეს ინსტიტუტების საქმიანობის ნორმატიულ-სამართლებრივ უზრუნველყოფას;
- ინფრასტრუქტურული, სამეცნიერო, საკადრო უზრუნველყოფის ფორმებსა და საშუალებებს;
- საგარეო-ეკონომიკური ბიზნეს საქმიანობის რეგულირებისა და მხარდაჭერის სტრუქტურებს;
- კომპანიების საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური გარემოს მხარდაჭერას;
- ხელსაყრელი სოციალური გარემოს ჩამოყალიბებას და სხვა.

ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმები შესაძლებელია იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირველი ჯგუფი მოიცავს საფინანსო, ეკონომიკურ, სანიტარულ და სხვა

ფორმებს, ხარისხის კონტროლსა და სხვა. ირიბი მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფოს მიერ ფისკალური პოლიტიკის საშუალებით. ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს ბიზნესზე არაპირდაპირი ზეგავლენის საშუალებას სახელმწიფო ხარჯების, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის, სახელმწიფო ვალის, საგადასახადო განაკვეთებით მანიპულირების საშუალებას.

ეროვნულ ეკონომიკაში ბიზნესის მხარდაჭერის თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი კონკურენტუნარიანი სექტორების პირდაპირი სახელმწიფო მხარდაჭერა, პირობების შექმნა უცხოური ინვესტიციების მოდინებისთვის. ასევე, მსოფლიო დონის სტანდარტების გამოყენება, ფინანსური და საგადასახადო შეღავათების დაწესება კომპანიებისთვის, რომლებიც ინვესტრიებას ახალ ტექნოლოგიებში ახდენენ და სხვა. ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერებისა და განათლების სისტემის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, პირველ რიგში ეკონომიკის ინფრასტრუქტურის შექმნაში.

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო შესაბამისი პროგრამების საშუალებით აქტიურად მონაწილეობს ეკონომიკის მოდერნიზაციაში, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახით. ისეთ ინდუსტრიულ ქვეყნებში როგორიცაა: აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, გერმანია, შვედეთი და სხვა. სამთავრობო მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის სამრეწველო კვლევებზე. ამასთან. კვლევებში სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში. მიჩნეულია, რომ ასეთი სტრუქტურები ყველაზე სწრაფად და მეტად გრძნობენ სამეცნიერო კვლევების კომერციული წარმატების პერსპექტივებს.

ბიზნესის სახელმწიდო მხარდაჭერის ეფექტიანობა განპირობებულია იმით, რომ გავლენა მოახდინოს ინოვაციურ პროცესზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების დაჩქარებაში. ინოვაციებზე კონცენტრაცია და ფინანსური მხარდაჭერა იწვევს სახელმწიფოსთვის აუცილებელი მეცნიერებატევადი დარგების განვითარებას და შესაბამისად კონკურენტუნარიანი სახელმწიფო მნიშვნელობის პროდუქტების წარმოებას. აღნიშნული მნიშვნელოვანწილად

განსაზღვრავ საერთაშორისო კონკურენტულ გარემოსი ეროვნული ეკონომიკის უპირატესობის უზრუნველყოფას. ამასთან, შესაძლებელი ხდება ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც მოწოდებულია ერთმანეთთან დააკავშიროს განათლების სისტემა და მეცნიერული კვლევების ბზასთან, წაახალისოს ეკონომიკური სუბიექტების მოტივები ბიზნესის საქმიანობასი.

ბიზნესის მხარდაჭერის ფორმები შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფოს მართვის ადმინისტრაციულ მეთოდების საშუალებით. მათი გამოყენება შემდეგი მიმართულებით მიმდინარეობს:

- სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლი მონოპოლიურ დარგებზე (ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა და სხვა);
- ბიზნესის საქმიანობის განხორციელებისთვი სტანდარტების დაწესება და მათ შესრულებაზე კონტროლი;
- მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის საზოგადოებასი მიღებული მინიმალური დონის განსაზღვრა;
- ეროვნული ინტერესების დაცვა საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში და ა.შ.

სამეწარმეო სულისკვეთების აღზრდის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მასიური და სწორი პიარი მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდასაჭერად. აუცილებელია მოსახლეობაში სამეწარმეო საქმიანობის პრესტიჟის ამაღლება და მცირე და საშუალო ბიზნესში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჩართვა. ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ დიდი როლის შესრულება შეუძლია მედია საშუალებებს. სატელევიზიო გადაცემებისა და ჟურნა-გაზეთების მეშვეობით მოსახლეობის წახალისება სამეწარმეო საქმიანობის დაწყების მიმართულებით. მუდმივად უნდა იყოს შეხვედრები მეწარმეებთან, ასახულ უნდა იქნეს მათი წარმატებები, მოსახლეობა ნათლად უნდა ხედავდეს სახელმწიფოს მხარდაჭერას ამ მიმართულებით და მოიაზრებდე მას პარტნიორად. ამრიგად შესაძლებელი გახდება მოსახლეობასი ბიზნესის დაწყებისას წარუმატებლობის შისი. ამ და სხვა შესაძლო მეთოდებით გაიზრდება მეწარმეთა რიცხვი. ექსპერტული შეფასებით "ხელშემწყობ სახელმწიფოს პოლიტიკას შეუძლია 20-30%-ით გაზარდოს მოსახლეობის სამეწარმეო პოტენციალი''.

საქართველოში მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი ფუნქციაა საბაზრო ურთიერთობათა ჩამოყალიბების დაჩქარება.

ცალკეული ეკონომისტები და მეწარმეები ამტკიცებენ, რომ თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების მხარდაჭერა გამოიხატება მათთვის ხელის არ შეშლაში, თუმცა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მიზანმიმართული მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია მეწარმეობის აღორძინება. სახელმწიფოს მხრიდან მცირე ბიზნესის რეგულირება არ გულისხმობს ადმინისტრაციულ იძულებას, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას მეწარმეებისათვის. მისი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფომ უნდა მოახდინოს განვითარების ინიცირება, სტიმულირება და მხარდაჭერა იმ დარგებში, სადაც წარმოიშვა ან მოსალოდნელია დისპროპოციები.

როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში მყარად არის დამკვიდრებული აზრი იმის შესახებ, რომ საქართველოში აუცილებლობას წარმოადგენს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და ხელშემწყობი გარემოს შექმნა, რაც ეფუძნება უცხოური გამოცდილების კარგად შესწავლა-გაზიარებას. თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის, ახალ ფასეულობათა დამკვიდრების საქმეში, შრომითი ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შენარჩუნება-განვითარებაში მისი გადამწყვეტი როლის შეგნებას.

ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში შეიქმნას სტრატეგიული მიმართულება “მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერის’’ სახით.

როგორც ემპირიული დაკვირვებები ცხადყოფენ, დღეს საქართველოში ბიზნესერთეულებს არ აქვთ ბაზარზე შესვლის პრობლემები. მიუხედავად ამისა, მცირე ბიზნესის წილი ღირებულებათა შექმნის ჯაჭვში კვლავ უმნიშვნელოა ბიზნესის შემზღუდველი მრავალი ფაქტორის გამო, რომლებმაც ვერ შეუწყვეს ხელი და შეზღუდეს პროდუქციისა და მომსხურების განვითარება. ე.წ “რადიკალურად რიბელარული’’ ეკონომიკის პრინციპების განხორციელება, რომლის თანახმადაც,

ეკონომიკის ყველა სექტორი იმართება მხოლოდ თავისუფალი საბაზრო კანონების თანახმად და სახელმწიფოს არც ერთ სექტორს არ ანიჭებს პრიორიტეტს, ეფექტური არ გამოდგა. ამდენად მცირე ბიზნესის მხარდაჭერის გასაძლიერება სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი უნდა იყოს, რისი განხორციელებაც მცირე ბიზნესის განვითარების სახელმწიფო რეგულირებითაა შესაძლებელი. სისტემური, მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობდეს საკანონმდებლო ბაზის მუდმივი სრულყოფის მიმართულებით, მცირე ბიზნესის პრიორიტეტული, საზოგადოებრივი და სოციალური თვალსაზრისით ეფექტიანი მიმართულებათა განვითარების ყოველმხრივი სტიმულირებისთვის. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, ვინაიდან საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების გზაზე და გლობალიზაციის მოთხოვნებიდან გამომდინარე მუდმივად წარმოიშობა ახალ-ახალი პრობლემები, რომელთა მოწესრიგება მნიშვნელოვანია.

გლობალიზაცის ტენდენციებიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის, მცირე მეწარმეობის სფეროში პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს რადიკალურად ახალი მცირე მეწარმეობის სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუციონალური საფუძვლების ფორმირება, რომელიც ადეკვატური იქნება ეკონომიკის ინოვაციური მოდელისა. ამასთან, კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის გააქტიურება ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში მოქმედ საწარმოებზე, რომლებიც შეძლებენ დამკვიდრებას მსოფლიოს ბაზარზე.

3.3. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამები საქართველოში

მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება კონკრეტული გარემოს ფორმირებაში, სოციალურის ურთიერთობის შერბილებასა და დასაქმების ზრდაში. მცირე საწარმოები ქმედით როლს ასრულებენ სიღარიბის დაძლევაში. ისინი მოქნილად და სწრაფად რეაგირებენ ბაზრის ცვლილებებზე, ადვილად ითვისებენ ახალ პროდუქციას და ძირითად ორიენტირებული არიან ადგილობრივ ბაზარზე. ეკონომიკის ამ სეგმენტის რეცესიული მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებს არა მარტო სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე, არამედ ქვეყნის კონკურენტუნარიანობისა და ბიზნესგარემოს სრულყოფაზე, რის შედეგადაც უმუშევრობა და სიღარიბე კვლავინდებურად ქვეყნის ძირითად პრობლემად რჩება.

მცირე ბიზნესის ხელშემწყობი არასამთავრობო ინიციატივების ფარგლებში ცალკეული ორგანიზაციებისა და პროგრამების დაგროვებული ცოდნისა და გამოცდილების ანალიზი და გამთლიანება დღეისთვის ორი მიზეზით არის მნიშვნელოვანი: სოციალური მხარდაჭერის, რეგიონალური განვითარებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის ხელსემწყობი სახელმწიფო პროგრამების ამოქმედების ფონზე მნიშვნელოვანია განისაზღვროს ის ნიშა, სადაც არასამთავრობო სექტორი შეიძლებს ახალ კონტექსტში ეფექტიანად ფუნქციუნირებას და სახელმწიფო პროგრამებთან სინერგიული ეფექტის მიღწევას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორი მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური ზრდის და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. მცირე და საშუალო საწარმოები შეადგენენ საქართველოს აქტიური კომპანიის 97%-ს, მაგრამ მათი წვლილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობასი ძალზედ დაბალია (საქართველოში ეს მაჩვენებელი 10%-ს შეადგენს). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ გარკვეული

ნაბიჯები გადადგა მარეგულირებელი და შემოწმების სისტემების გასაუმჯობესებლად კვლავაც საჭიროა აღნიშნული სისტემის დახვეწა და გამარტივება საუკეთესო საერთაშორისო პროექტის შესაბამისად.

<u>მცირე ბიზნესის მხარდაჭერა</u>

საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების საქმეში ჩართულია ბიზნესის ხელშემწყობი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ბანკები, საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები, ესენია: ბიზნესის ხელშემწყობი საერთაშორისო ოგანიზაციების მისიები საქართველოში: ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს; ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურების პროგრამა საქართველოში; გაეროს განვითარების პროგრამა; გერმანიი ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება; კერძო სექტორის ხელშეწყობა საქართველოში; ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი; ვორლდ ვიჟენი; ევროკომისიის წარმომადგენლობა საქართველოში; ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო; კანადის საერთაშორიოს განვითარების სააგენტო; დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო; ლტოლვილთა დანიის საბჭო; ოქსფამ ჯიბი იმ ჯორჯია; საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პროექტი; სი ეიჩ ეფ ინტერნეიშენალ; შვედეთის განვითარების სააგენტო; შვეიცარიის თანმშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში; ჯეპლაკი ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ამერიკული საკონსულტაციო ცენტრი. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები საქართველოში: კრისტალი, თბილმიკროკრედიტი, კრედო. ბანკები: ბანკი რესპუბლიკა; თიბისი ბანკი; საქართველოს ბანკი; ქართუ ბანკი; პროკრედიტ ბანკი; ბაზის ბანკი.

2010 წლის 10 სექტემბერს დაარსდა საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია- GAMEA, მისი მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესების დაცვა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტული პირობების შექმნის ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორის მხრიდან აქტიური კომუნიკაციის დამყარება სახელმწიფოს სტრუქტურებთან, საფინანსო ინსტიტუტებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ასოციაციის დამფუძნებლები, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებთან

ერთად, არიან შემდეგი ბიზნეს განვითარებები: AmCham - ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში, EUGBC - ,,ევროკავსირი-საქართველოს ბიზნესსაბჭო“ ბრიუსელი, ბელგია; - ,,საერთაშორისო სავაჭრო პალატის ეროვნული კომიტეტი“, ICC-Georgia - ,,საქართველოს ბიზნესასოციაცია“.

<u>რეგიონალური პროგრამები- მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა</u>

,, DCFTA- ს მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირო დაფინანსების პროგრამა - განკუთვნილია საწარმოსთვის , რომელთა ბრუნვა 1 მლნ ევროს აღემატება, ეს პროგრამა შემუშავებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, რისთვისაც უზრუნველყოფს მათ ადგილობრივი ვალუტით გრძელვადიან ფინანსირებას, მცირე და საშუალო მეწარმეების დახმარებისთვის ახალი ბიზნეს ინვესტიციების განსაზღვრასა და წარმატებით განხორციელებას.

მექანიზმი ითვალისწინება 69 მილიონი ევროს ოდენობის სესხებს EBRD-ისგან SME-ებისთვის, ისევე როგორც ევროკავშირის მხარდაჭერას მცირე და საშუალო საწარმოების პირდაპირო დაფინანსებისთვის, როლის დანიშნულებასაც წარმაოდგენს ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესება გარანტიები სისტმისა (9 მილიონი ევრო) და ტექნიკური დახმარების (1 მილიონი ევრო) უზრუნველყოფის გზით მცირე და საშუალო საწარმოების მიერ განსახორციელებელი სიცოცხლისუნარიანი პროექტების რიცხვის გასაზრდელად.

DCFTA - ს აღმოსავლეთ ინიციატივა - საკრედიტო-საგრანტო ხაზისთვის: სესხები 5 მილიონ ევრომდე; მიკროდაფინანსებისთვის: სესხები 25 000 ევრომდე.

DCFTA-ს აღმოსავლეთ ინიციატივა, ადგილობრივი მიკრო დაფინანსო ინსტიტუტების მეშვეობით გაცემული სესხებით, დახმარებას უწევს ყველაზე მცირე ბიზნესებს (მიკრო-საწარმოები, რომლებშიც თანამშრომელთა რიცხვი 10-ზე ნაკლებია), უზრუნველყოფს აგრარული პროდუქციის სექტორის დაფინანსებასა და ბიზნეს მხარდაჭერას და ეხმარება ადგილობრივ ბანკებს, გასუმჯობესონ სესხის გაცემის წესები და პირობები (უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთი და უფრო დაბალი გირაო) მცირე და საშუალო

მეწარმეებისთვის, რომლებიც თანამედროვე და ინოვაციურ ტექნოლოგიებში ინვესტირებას ცდილობენ.

DCFTA-ს აღმოსავლეთ ინიციატივას გააჩნია სამი ძირითადი სფერო:

- საკრედიტო-საგრანტო ხაზი - სთავაზობს სესხების გარანტიებს ადგილობრივ ბანკებს, რაც მათ საშუალებას აძლევს, რომ გააუმჯობესონ სესხის გაცემის წესები და პირობები და ამგზით უზრუნველყონ ფინანსებზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო საწარმოებისთვის.
- მიკროდაფინანსება - გამოუყოფს სესხებს მიმზიდველი პირობებით მიკროსაფინანსო ინსტიტუტებს, რათა გაზარდოს ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ყველაზე მცირე ბიზნესისთვის.
- ტექნიკური დახმარება - უზრუნველყოფს როგორც ადგილობრივი ბანკების, ასევე სოფლის მეურნეობის სექტორში მომუშავე საწარმოების მხარდაჭერას, რათა დაეხმაროს მათ, გამოიყენონ ახალი სავაჭრო შესაძლებლობები, ასევე, დახმარებას უწევს მიკრო საწარმოებს მიკროდაფინანსების კონტექსტში.

EU4Businees-EBRD-ის საკრედიტო ხაზი - ადგილობრივი პარტნიორი ბანკების მეშვეობით, ეს პროგრამა მცირე და საშუალო საწარმოებს სთავაზობს სესხებსა და საგრანტო წახალისებას ევროკავშირთან შეთანხმებული ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) ფარგლებში არსებული ევროკავშირის წესებისა და სტანდარტების დაკმაყოფილებისთვის საჭირო ინვესტიციების დასაფინანსებლად და ბიზნესების დასახმარებლად ამ ინვესტიციების განსაზღვრასა და საკუთარი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებაში. ინვესტიციები შეიძლება მოიცავდეს, როგორც აღჭურვილობის და ტექნოლოგიების განახლებას, ასევე ხარისხის, ჯანმრთელობის ან უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვას.

კერძოდ, ადგილობრივი ბანკების მეშვეობით, EBRD- ის საკრედიტო ხაზი, მცირე და საშუალო საწარმოებს გამოუყოფს სესხებს დამტკიცებული ტექნოლოგიების სიაში ინვესტირებისთვის (დაწყებული სამედიცინო აღჭურვილობით, დამთავრებული ლაზერული ჭრის დანადგარებით); ინვესტიციების განსახორციელებლად პროექტის ხარისხის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის გადამუშავების უსაფრთხოების

გაუმჯობესებისთვის, ისევე როგორც მოდერნიზაციის პროექტებისთვის ნებისმიერ საწარმოო ან მომსახურების სექტორში.

სესხების ოდენობა შეიძლება მერყეობდეს დაახლოებით 300 000 ევროდან 3 მლნ. ევრომდე და მათ ერთვის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო წახალისება SME- ისთვის გაცემული კრედიტის თანხა 15%-მდე ოდენობით.

ევროპული ფონდი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE) - ფონდი, ადგილობრივი ბანკების მეშვეობით, მცირე სესხებს გამოყოფს მიკრო (10 თანამშრომელზე ნაკლები) და მცირე (50 თანამშრომელზე ნაკლები) საწარმოებს (MSE-ები), ისევე როგორც დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახებს. დახმარება ხელმისაწვდომია ისეთ სექტორებში მომუშავე მიკრო და მცირე მეწარმეებისთვის, როგორებიცაა სოფლის მეურნეობა, ინდუსტრია, ვაჭრობა და მომსახურება.

EFSE თანამშრომლობს ადგილობრივ პარტნიორ სესხის გამცემ ინსტიტუტებთან, კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ბანკების, მიკროსაკრედიტო ორგანიზაციებისა და ისეთი არასაბანკო ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, როგორებიცაა ლიზინგის კომპანიები. ისინი EFSE -ისგან მიღებულ ფინანსებს სესხებად გასცემენ საბოლოო დანიშნულების ჯგუფზე, რომელსაც მიკრო და მცირე მეწარმეები და დაბალ შემოსავლიანი ოჯახები შეადგენენ.

ქალები ბიზნესში - EBRD -ს პროგრამა ,,ქალები ბიზნესში“ ეხმარება ქალების მიერ მართულ მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსებზე წვდომის და იმ ნოუ-ჰაუს მიღებაში, რაც სჭირდებათ თავიანთი ზრდისთვის.

პროგრამის ფარგლებში, ქალების მიერ მართული მცირე და საშუალო საწარმოებს, შეუძლიათ დაფინანსებაზე წვდომა ადგილობრივი ბანკებისთვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზების მეშვეობით, პარალელურად კი აქვთ წვდომა ბიზნეს კონსულტაციაზე, რომლის მიზანიცაა დაეხმაროს მათ, გახდნენ უფრო კონკურენტუნარიანი. პროგრამა, ასევე გვთავაზობს სწავლებას, ზედამხედველობას და სხვა დახმარებას, რათა ქალმა მეწარმეებმა ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და ცოდნა.

შესაძლებლობების განვითარების ჩარჩო აზერბაიჯანსა და საქართველოში ფინანსური შუამავლების მხარდასაჭერად - პროექტი მიზნდა ისახავს მდგრადი

ფინანსური შუამავლების შექმანს, ასევე ეფექტურობას, ადგილობრივი სექტორის მუშაობის წარმატების და გამჭირვალობის ზრდას, რომელიც აუცილებელია საწარმოების დაფინანსების ხელმისაწვდომობის გასამარტივებლად. იგი ეხმარება სპეციალურ პროექტებს და კლიენტებზე ორიენტირებულ ფონდებს, ხელს უწყობს საერთაშორისოდ მიღებული საბანკო პრაქტიკის გამოყენებას და ზრდის კონკურენციად რეგიონში.

მიზნები:

- ფინანსური სექტორის ეფექტურობის, მუშაობის წარმატების და გამჭირვალობის გაუმჯობესება, რის შედეგადაც იქმნება უფრო ფართო წვდომა საწარმოების დაფინანსებაზე, განსაკუთრებით მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (MSME);
- წარმატებული და ჯანსაღი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც საბაზრო პრინციპების საფიძველზე მოქმედ რეალურ ეკონომიკას დააფინანსებენ და დანერგავენ ჯანსაღი ბიზნესის პრაქტიკას, რაც ხელს შეუწყობს მდგრადი ფინანსური შუამავლების მხარდაჭერას.

ბენეფიციარები: ფინანსური შუამავლები; მიკრო, მცირე და სასუალო საწარმოები.

აქტივობები:

- ინსტიტუციური მშენებლობის პროგრამების მხარდაჭერა;
- საკრედიტო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა;
- სავაჭრო დაფინანსების საკონსულტაციო მომსახურების ხელშეწყობა;
- მართვის უნარ-ჩვევების განვითარება;
- ახალი ფინანსური პროდუქტების გაშვების ხელშეწყობა.

შედეგები:

2016 წლის შუა პერიოდში განახორციელეა რვა სხვადასხვა ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა სავაჭრო დაფინანსების სემინარებს, შეიდა აუდიტისა და რისკების მართვას პრაქტიკის გაუმჯობესებას, ქართული სოფლის მეურნეობის მექანიზმის რეალიზებას ხუთი ქართული ბანკის დახმარებით და SME-ის საკრედიტო კონსულტაციებს მთლიანობაში. რაც შეეხება ვაჭრობის საფინანსო სემინარებს, მონაწილეთა 98% მიიჩნევს, რომ სწავლება სასარგებლო იყო მათი საქმიანობისთვის.

ფინანსური სექტორის ინსტიტუციების მნიშვნელობა და კრიზისზე რეაგირება - პროექტის ხანგრძლივობა: 2009-2021 წლები. პროექტი მიზნდას ისახავს აღმოსავლეთ სამეზობლოში მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების (MSME) დაკრედიტების ხელმისაწვდომობის აღდგენას ფინანსური ინსტიტუტების დახმარებით, განსაკუთრებით ფინანსური კრიზისით დაზარალებულთათვის. კრიზისის შედეგად გამოწვეული განსაკუთრებული სიტუაციის საპასუხოდ, პროექტმა მიზნდა დაისახა რეგიონის მასტაბით საბანკო ჩავარდნებისა და რელური ეკონომიკის მოულოდნელი შემცირების რისკის თავიდან აცილება.

მზინები:

- ბანკების დახმარების უზრუნველყოფა, რომლებსაც გლობალური ფინანსური კრიზისი შეეხება და რომლებშიც EBRD -მა ინვესტიციები ცადო კრიზისზე რეაგირების პაკეტის ფარგლებში.
- სექტორი წარმატებული მუშაობის, ეფექტურობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესება, რასაც მოყვება საწარმოების დაფინანსებაზე უკეთესი წვდომა.
- წარმატებული და ჯანსაღი ინსტიტუტების შექმნა, რომლებიც დააფინანსებენ რეალურ ეკონომიკას, განახორციელებენ საბაზრო პრინციპებს და შეინარჩუნებენ ჯანსაღ საქმიან პრაქტიკას.

ბენეფიციარები: პარტნიორი ფინანსური ინსტრუმენტები; მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოები.

აქტივები:

- კონსულტანტები უზრუნველყოფენ ფინანსური შუამავლების დახმარებას კონკრეტულ პროექტებზე და კლიენტებზე;
- პროექტები, ამაღლებს კონკურენციას და სანიმუშო ეფექტს ავლენს;
- პარტნიორი ფინანსური ინსტრუმენტების(PFI) დახმარებით მათი რეგიონალური ურთიერთობების გაფართოებასა და მათი კლიენტების ბაზის დივერსიფიკაციაში;
- რეგიონალური ჩარჩოების კრიზისულ სიტუაციებზე მიზანდასახული რეაგირებისთვის, საკონსულტაციო მომსახურების გაწევა სავაჭრო დაფინანსების

საბანკო საკითხებზე, ასევე ნიუ-ჰაუს გავრცელება თანამედროვე კომერციული დაფინანსების საბანკო უნარ-ჩვევებზე.

შედეგები:

2016 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, 64 ფინანსურმა ინსტიტუტმა ევროკავშირის NIF-ის მიერ დაფინანსებული ტექნიკური დახმარებით ისარგებლა. პროექტის ფარგლებში განხორციელებული ვალდებულებების საერთო რაოდენობა დაახლოებით 12 მლნ. ევროს შეადგენს.

ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისთვის (EFSE) კეთილმეზობლობის ფანჯარა - პროექტის ხანგრძლივობა: 2009-2021წლები. ფონდის მიზანია, სტიმული მისცეს ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას, მუდმივი დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფით, უმეტესად მიკრო და მცირე ბიზნესისთვის (MSME) და კერძო საოჯახო მეურნეობისთვის, ადგილობრივი კვალიფიციური ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით.

მიზნები:

- პროექტის მიზანია, მოიზიდოს ფონდში კერძო კაპიტალი და ამ გზით მიმართოს ინვესტიციები რეგიონში, კერძო სექტორის, კერძოდ კი მიკრო და მცირე ბიზნესისა და სამოქალაქო მნიშვნელობის განვითარების მიზნით.
- ხელი სეუწყოს ბენეფიციურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, კერძოდ კონკურენტუნარიანი სექტორის ფორმირებას.

ბენეფიციარები: მიკრო, საშუალო და მცირე საწარმოები და დაბალშემოსავლიანი კერძო საოჯახო მეურნეობები.

აქტივები:

- სესხებით უზრუნველყოფა
- ტექნიკური დახმარება

შედეგები

EFSE-ის საერთო პორტფელიო აღმოსავლეთ ევროპის ექვს პარტნიორ ქვეყანაში, 2017 წლის მე-2 კვარტალში, შეადგენდა 271,0 მლნ ევროს, რომელიც განაწილდა შემდეგნაირად:

- საქართველო - 54% (145,1 მლნ. ევრო)

- სომხეთი - 22% (8,4 მლნ. ევრო)
- უკრაინა- 11% (30, 8 მლნ. ევრო)
- ბელარუსი - 7% (20,0 მლნ. ევრო)
- აზერბაიჯანი - 4% 9,8 მლნ. ევრო)
- მალდოვა - 2% (6,9 მლნ. ევრო)

EFSE-ის სესხები უმეტესად გაიცემა კომერციულ ბანკებზე, აგრეთვე მიკროსაფინანსო ბანკებსა და მიკროსაკრედისო ორგანიზაციებზე.

SME-ის დაფინანსების მექანიზმის- ფაზა I – პროექტის ხანგრძლივობა: 2010-2020 წლები. მცირე და საშუალო საწარმოების (SME) დაფინანსების მექანიზმი აერთიანებს ევროპის რეკონსტრუქციას და განვითარების ბანკის(EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) და KfW (გერმანიის მთავრობის გაერთიანების ბანკი) სესხებს ევროკავშირის საგრანტო რესურსებით მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისთვის აღმოსავლეთის პარტნიორობის რეგიონსი. დაფინანსება ხორციელდება ფინანსური შუამავლების საშუალებით მთელი რეგიონში, რაც ზრდის გრძელვადიანი დაფინანსების ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორში.

SME- ის დაფინანსების მექანიზმი მიზნად ისახავს:

- ფინანსური კრიზისის შემდეგ ფინანსური შუამავლების ნდობის აღდგენას SME -ს დაფიანნსების გაფართოების მიზნით, მიკროსაწარმოების ჩათვლით;
- გააძლიეროს ფინანსური შუამავლების უნარი, შეაფასონ და მონიტორინგი გაუწიონ თანმდევ რისკებს და მართონ SME -ს დაფიანსნება;
- გააძლიეროს და გააღრმავოს SME-ს საკრედიტო ბაზრები;
- გააფართოვოს რეალური ეკონომიკისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური შესაძლებლობები.
- წაახალისოს ბაზარზე დაფუძნებული ფინანსური დაწესებულებების უწყვეტი განვითარება და წვლილი შეიტანოს ინსტიტუციების შენებაში.
- მხარი დაუჭიროს კერძო და სამეწარმეო ინოვაციების გაფართოებას ადგილობრივ და უცხურ შუამავლებთან მუშაობით.

ბენეფიციარები:

- ფინანსური შუამავლები (ბანკები, ლიზინგის კომპანიები, საინვესტიციო ფონდები);
- მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (SME-ები).

ფინანსებზე წვდომა და ანგარიშგება - პროექტის ხანგრძლივობა: 2018-2022 წლები. პროექტი მიზნად ისახავს ანალიტიკურ, საკონსულტაციო და შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას იმისთვის, რომ საფუძველი ჩაუყაროს ფინანსებზე წვდომისა და ანგარიშგების განვითარებას და გაძლიერდეს მათი ძირითადი ელემენტები საქართველოში.

მზინები

სადაზღვეო და კაპიტალის ბაზრის გასავითარებლად ჩარჩოების გაუმჯობესება; ფინანსური ინფრასტრუქტურისა და ფინანსებზე პასუხისმგებლიანი წვდომის გაუმჯობესება; კორპორატიული და სახელმწიფო მფლობელობასი არსებული საწარმოს უკეთესი მართვა და ანგარიშგება.

ბენეფიციარები:

- საქართველოს ეროვნული ბანკი;
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური; ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.

აქტივობები - პროექტი უზრუნველყოფს საკონსულტაციო და შესაძლებლობების განვითარების შემდეგი ოთხი მიმრათულებით:

- კაპიტალის ბაზრის განვითარება;
- დაზღვევის რეფორმა;
- ფინანსებზე პასუხისმგებლიანი წვდომა;
- უკეთესი ფინანსური ინფორმაცია და ანგარიშგება.

პროექტის დასრულებისას მოსალოდნელი შედეგები:

- კაპიტალის ბაზრის სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩოები მოდერნიზებულია;

- დახვეწილია კაპიტალის ბაზრის ინფრასტრუქტურის (ვაჭრობის) კონტროლი;
- გაუმჯობესებულია ბაზრის შესახებ ინფორმირებულობა და ფიქსირებული შემოსავლის მომტანი პროდუქციისთვის უზრუნველყოფილი გარემო;
- შემუშავებულია ახალი სადაზღვევო პროდუქტების გასავითარებელი ჩარჩოები;
- სადაზღვევო ბაზარი გაფართოებულია დაზღვევის სავალდებულო პროდუქტების შემოღებით;
- შემუშავებულია პასუხისმგებლიანი ფინანსური ჩარჩო;
- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შემუშავებულია ანგარიშგების ჩარჩოები და გაზრდილია მათი შესაძლებლობები;
- გაზრდილია მცირე და საშუალო მაშტაბის პრაქტიკის მქონე ფირმები(-ების) შესაძლებლობები;
- დამკვიდრებულია საბუღალტრო და აუდიტორული ხარისხის კონტროლი;
- ამაღლებულია საბუღალტრო განათლების დონე. ” [6]

“ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“

პროექტი ინიცირებულია საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და 2013 წლის 27 მარტიდან ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო “‘ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში. პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისთვის ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით.

პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმეობის, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოები საფინანსო

- [6] წყარო - (მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა - ფინანსების ხელმისაწვდომობა https://eu4business.eu/ka/smeprojects/georgia/finance)

ინსტიტუტებისგან მიიღებენ შეღავათიან აგროკრედიტს/ აგროლიზინგს ძირითადი და საბრუნავი საშუალებისთვის.

,,შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“ მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

- **შეღავათიანი აგროკრედიტი საბრუნავი საშუალებისთვის** - ყრუძნის გადამამუშავებელი საწარმოები; ყურძნის გადამამუშავებელი საწარმოები, რომლებიც ყურძნის შეძენას მოახდენენ სპირტის წარმოების მიზნით.
- **შეღავათიანი აგროკრედიტი ძირითადი საშუალებისთვის** - ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის.
- **შეღავათიანი აგროლიზინგი** - ქვეკომპონენტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მექანიზაციისთვის.
- **შეღავათიანი აგროკრედიტის/შეღავათიანი აგროლიზინგის პირობები თანადაფინასნების პროექტისთვის.**
- **აწარმეო საქართველოში.**

სსიპ “აწარმოე საქართველოში”

,,აწარმოე საქართველოში“ სამთავრობო პროგრამა 2014 წლის 1 ივნისიდან მოქმედებს. პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი ადგილობრივი წარმოების სტიმულირება, განვითარება და ხელშეწყობა. დაინტერესებულ მეწარმეს სახელმწიფო სთავაზობს ფინანსურ, ინფასტრუქტურულ და საკონსულტაციო მხარდაჭერას .

,,აწარმოე საქართველოში“ ეკონომიკის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტია. ამ პროექტის ერთ-ერთი კოორდინატორი სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოცაა, ამ პროგრამის ბიუჯეტის (46 მლნ ლარი) 65,2%-ით (30 მლნ ლარი) სასოფლო-სამეურნეო მიმართულების საწარმოები დაფინანსდნენ, ხოლო ბიუჯეტის 34,8%-ი (16 მლნ ლარი) კი სხვა მიმართულების ინდუსტრიის დასაფინანსებლად დაიხარჯა.

სსიპ ,,აწარმოე საქართველოში“ პროგრამის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს კერძო სექტორის განვითარება, სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ექსპორტის ხელშეწყობა

და საქართველოს საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია. დინამიური ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად, სააგენტო აერთიანებს სამ კომპონენტს, ეკონომიკური განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ შრეს: ბიზნესს (ადგილობრივ წარმოებას), ექსპორტს და ინვესტიციებს.

„აწარმოე საქართველოში - ბიზნესის“ მიმართულების მიზანია საქართველოში ახალი საწარმოების/სასტუმროების შექმნისა და არსებული საწარმოს/სასტუმროს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა, მეწარმის მხარდაჭერა და მეწარმეობის განვითარება.

„აწარმოე საქართველოში - ექსპორტის“ მიმართულების მიზანია ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა.

„აწარმოე საქართველოში - ინვესტიციის“ მიმართულების მიზანია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობა, მოზიდვა და განვითარება. აღნიშნული მიმართულება მუშაობს „ერთი ფანჯრის პრინციპით“ და ეხმარება დაინტერესებულ ინვესტორებს სხვადასხვა ინფორმაციის მიღებასა და ქართულ მხარესთან ეფექტური კომუნიკაციის წარმოებაში, წარმოადგენს ერთგვარ მედიატორს უცხოელ ინვესტორებსა და საქართველოს მთავრობას შორის.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა ახალი პროექტები; გარკვეული ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე პროექტებში.

კერძოდ, პროექტის „შეღავათიანი აგროკრედიტი“ ფარგლებში, გაიცემა კრედიტები, რომლის სავარაუდო მოცულობა 50, 000,000 ლარი იქნება, რითაც დაფინანსდება ერთწლოვანი კულტურის მოყვანის ხარჯები. სახელმწიფო სრულად დააფინანსებს სესხების 6 თვის საპროცენტო განაკვეთს, ხოლო ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ სესხის ძირითადი თანხა გადაიხადონ მიღებული მოსავლის რეალიზაციის შემდეგ. 2020 წელს პროგრამით ისარგებლებს დაახლოებით 5,000 ბენეფიციარი.

,,შეღავათიანი აგროკრედიტის“ ძირითადი საშუალებების კომპონენტში იზრდება ლიზინგის თანადაფინანსების პროცენტიც (9%-ის ნაცვლად 12%), იზრდება თანადაფინანსების პროცენტი (8%ის ნაცვლად 11%).

შემუშავდა ახალი ქვეკომპონენტი სასურსათო მრეწველობის, მათ შორის, პურისა და პურპროდუქტების წარმოება, ყურძნის გადამამუშავებელი წარმოება და მაკარონის ნაწარმის წარმოება, დაფინანსებისთვის. პროექტს ემატება აგროლიზინგის ქვეკომპონენტის სასურსათო მრეწველობის დაფინანსებისთვის, სახელმწიფოს თანადაფინანსება იქნება 12%, 24 თვის განმავლობაში. სახელმწიფო სესხის საპროცენტო გაანკვეთის თანადაფინანსებას მოახდენს წლიური 10%-ის მოცულობით 24 თვის განმავლობაში. 2020 წელს, პროგრამის ფარგლებში, ფერმერებზე გაცემული სესხების ჯამური სავარაუდო მოცულობა იქნება 25,000,000 ლარი.

იგეგმება ,,მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის“ განხორციელება, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით დაგეგმილია სოფლის რძის მცირე წარმოების განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაიხარჯა 3 მლნ. ლარი, 2020 წელს პროგრამით ისარგებლებს 60-მდე ფერმერი.

,,აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამაშიც განხორციელდა ცვლილება. მრავალწლიანი კულტურების დაზღვევის შემთხვევაში, ფერმერებს შესაძლებლობა ეძლევათ საკუთარი მოსავლის სამი კალენდარული წლით დააზღვიონ. პროგრამა სამწლიანი გახდა, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტი შეადგენს 9 მლნ. ლარს.

,,აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა” მოიცავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას და დახურულ გრუნტში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდის ხელშეწყობას. თანადაფინანსების ჯამური თანხა შეადგენს 10,000,000 ლარს. სავარაუდოდ დაფინანსდება 200 ტრაქტორი, 80 000კვ/მ სათბური და 400 ჰა მიწის ფართობზე მოეწყობა სარწყავი სისტემა.

ყოველივე ეს ცვლილება მნიშვნელოვნად დაეხმარება სოფლის მეურნეობას განვითარებაში.

ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებისა და რეგულირების პროცესში მნიშვნელოვანია აქცენტის გადატანა რეგიონებზე, რადგან მცირე და საშულაო ბიზნესის განვითარებისთვის უფრო მეტი გარემო პირობებია.

დასკვნა

ჩვენ განვიხილეთ მცირე და საშუალო ბიზნესის არსი, განვითარების ისტორია, მისი მდგომარეობა და როლი ქართულ ეკონომიკაში. ასევე განვიხილეთ თუ რა ღონისძიებები და პროგრამები ტარდება მის ხელშესაწყობად. აღვნიშნეთ, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება პრიორიტეტული ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანაა და მისი განვითარება საქართველოში გადაჭრის ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა:

- შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქვეყანაში არსებული სიღარიბის დონის შემცირება და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება;
- მოსახლეობის დასაქმება;
- მოსახლეობის შემოსავლების ზრდა;
- დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება და ა.შ.

მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის და მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების შემაფერხებელ პრობლემათა ანალიზის საფუძველზე და ქვეყანაში შექმნილი სოციალური ფონის გათვალისწინებით, ხელისუფლებამ დროულად და რადიკალურად უნდა შეცვალოს პოლიტიკა მცირა და საშუალო საწარმოებთან დამოკიდებულებაში, უზრუნველყოს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემათა გადაწყვეტას. აქედან გამომდინარე, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება შეუძლებელია

სახელმწიფო მხარდაჭერის ღონისძიებათა მძლავრი სისტემის შექმნისა და განხორციელების გარეშე.

მცირე და საშუალო ბიზნესს საქართველოში აქვს ძალიან კარგი სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალი. მისი რეალიზაციით შესაძლებელია, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარდეს და გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი. განვითარების ხელსაყრელ პირობას ქმნის მდიდარი ბუნებრივი რესურესები, მოსახლეობის ინტელექტუალური პოტენციალი და კიდევ არსებობს მრავალი შესაძლებლობა, მრავალი ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს ბიზნესის ამ სახეობის განვითარებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის რეგიონალური პროგრამების შემუშავება, მცირე და საშუალო მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის ინფრასტქრუქტურის განვითარების საკითხები. მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას შეუძლია გაზარდოს,როგორც წარმოებული პროდუქტის და მომსახურების მოცულობა, ისე მნიშვნელოვნად აამაღლოს ადამიანების კეთილდღეობის დონე.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, სიღარიბის დამარცხების ერთადერთი წყაროა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და მას ალტერნატივა არ გააჩნია. როგორც საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ისე მსოფლიო ბანკი ძალიან მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საქართველოს, კომერციული ბანკების მეშვეობით მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსების გაზრდა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გ. შუბლაზე, მ. ნანიტაშვილი ბიზნესის საფუძვლები - 2011
2. თ. შენგელია, ბიზნესისი ადმინისტრირების საფუძვლები - 2008
3. საქართველოს კოდექსი 2018
4. მ. თეთრუაშვილი, ზ. თეთრუაშვილი, ი. თეთრუაშვილი საკუთარი ბიზნესისი პირველი ნაბიჯები - 2008
5. მეწარმის სამაგიდო წიგნი - საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია 2011
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საწარმოთა საქმიანობის შედეგები 2019 წლის III კვარტალი
7. ს. ყარამაული, უნივერსალური ბიზნეს-ლექსიკონი, თბილისი 2002
8. g. იაშვილი - სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში.“ტექნიკური უნივერსიტეტი”, თბ., 2009

9. ე. მექვაბიშვილი, „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება, როგორც საშუალო კლასის ფორმირების უმნიშვნელოვანესი პირობა“. http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/07/blog-post.html (2.07.2010)

10. გ. იაშვილი, სტრატეგიული მენეჯმენტი მცირე და საშუალო საწარმოებში - 2009
11. დ. ჯაფარიძე - საქართველოში მცირე ბიზნესის ხელშეწყობის პოლიტიკის ანალიზი 2012
12. თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი - სამეცნიერო შრომების კრებული VIII თბილისი 2015
13. ე. გობეჯიშვილი მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირების რეგიონული ასპექტები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.თბილისი, 2011
14. გლობალიზაცია, საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და განვითარების ტენდენციები - "უნივერსალი"თბილისი 2012
15. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო- საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2019.
16. მაია თეთრუაშვილი - ბიზნესის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღვანელო) - თბილისი 2013 წელი.
17. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის
18. შეღავთიანი აგროკრედიტი - https://projects.org.ge/view_grant.php?id=110
19. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
20. აწარმოე საქართველოში - http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka
21. http://eugeorgia.info/ka/article/223/agrokreditis-msurvelebi-sesxebs-ganaxlebuli-pirobebit-miigeben-/
22. საქართველოში მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების წვდომა მწვანე ფინანსებზე- https://www.oecd-ilibrary.org/sites/e69bb448-ka/index.html?itemId=/content/component/e69bb448-ka
23. ,,შეღავათიანი აგროკრედიტი'' პროგრამაში ცვლილება 2020წ. https://bm.ge/ka/article/quotshegavatiani-agrokreditisquot-programashi-cvlilebebi-shedis---detalebi-/54865
24. მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერა - https://eu4business.eu/ka/smeprojects/georgia/finance

დანართები

დნართი 1. ბიზნესის კეთება, საქართველოს პოზიცია 2012-2019 წლებში.



დანართი 2. რეგიონების მიხედვით (ქ.თბილისის გარდა) ბრუნვა და პროდუქციის გამოშვება (2019 წ).



danarTi 3. ბიზნეს სექტორის ბრუნვისა და პროდუქციის გამოშვების მაჩვენებლები საწარმოთა ზომების მიხედვით, 2019 წლის III კვარტალი



დანართი 4. ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა კვარტალების მიხედვით 2018-2019 წლებში.



დანართი 5. ბიზნეს სსექტორის ბრუნვის სტრუქტურა, 2019 წლის III კვარტალი



დანართი 6. ბიზნეს სექტორის პროდუქციის გამოშვების სტრუქტურა, 2019 წლის III კვარტალი



დანართი 7. ბიზნეს სექტორის დასაქმებულთა სტრუქტურა 2019 წლის III კვარტალი